


ხალხური ტრადიციები და რიტუალები


# კურამი





საქართველოს მუნიციპალიტეტის აღმოჩენი

# საქართველო





შესავალი	6	ბრძნილობები და აპრძალვები	46
ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა	9	საქორწინო აღკვეთები	46
ეთავთან დაკავშირებული რიტუალები		განრიდება	48
		ორსულობა-შვილიერებასთან	50
ქორწინებასთან დაკავშირებული	12	დაკავშირებული აკრძალვები	
რიტუალები		თვალის წაკვრა	52
შუამავლობა	12	მიწის სამუშაოთა აპრძალვის	54
ნიშნობა	14	ჩვეულება	
აღდის გაკვეთა	16	კვირიკობა//ჩურუგაი	54
ნიშანლობა	16	ელიობა//ბახურა	54
"ტურაქორწილი", წაყვანის ქორწილი	18	მცენარეებთან დაკავშირებული	56
მუქდებალიში	20	აკრძალვები	
მტერობაში მოყვრობის ჩამოგდება	20	წმინდა ტყეები	58
მოყვანის ქორწილი	22	გარგნობა	58
ტვალის//დუალის ახდა	24	მონადირეობა-მეთევზეობის	60
სუფრის დაკავება	24	აღკვეთები	
სადილის მიტანა	26		
საზოგადოებრივ-საოპარაზო ყოფასთან			63
დაკავშირებული ტრადიციები	28	დაკავშირებული ტრადიციები	
მეჩქინეო	28		
დაწინდვა	28	საახალწლო წეს-ჩვეულებები აჭარაში	66
შუამავლობა	30	“ცხემლის ქრა”	68
სიჭალიკობა	30	ალილობა	70
აღდი ოხვენუ//ნიშანი ოხვენუ	32	ცეცხლის შენახვა	72
კურხეშ ქთალა (კურხეშ ქთალაში)	32	ბოსლობა	74
ქანდა	34	ფრინველის დაძლევა	76
ძეობა//აკვნის მიტანა	36	მეკვლეობა	78
ბავშვის აღზრდის ტრადიციები	38	ქათმის ფერხვა	80
„ქიპის მიქრა“	38	საქონლის ფერხვა	82
„უბეში ამოძვრენა“	40	ნადი	84
მომავალი საქმიანობის განსაზღვრა	40	წარმო და ნახსი დღეები	86
„მანიდში მიღება“	42	ხისეს//არჩივის გაღება	86
გოგონების აღზრდის ტრადიციები	44	მთვარესთან დაკავშირებული	88
		რიტუალები	



საქართველოს მთავრობის და მთავრობის აქანაში

სახლის საძირკვლის ჩაყრა	90	ფადიკო//ფათიკო	144
ბაირალის აღმართვა	92	ზირიკობია	146
გველის კულტი	94	"აქლემის შეკაზმვა"//"აქლემის	148
ნადირის დაკოჭვა	96	მოკაზმვა"	
საღმრთოს გაღება	98	საპატარდლოს მოპატიუება//	150
დატირება	100	სარძლოს გამორჩევა	
„მზოღას ონჩვიუში დღა“ (ზღვაში ბანაობის დღე)	102	თამაშები	152
დადეგი//დადეგობა	104	“ბუღიების ჭედობა”	152
რწყილის გადალოცვა	104	დათვობია	154
ჩეჩის და ხერტლის ნადი	106	ცეცხლობია//ათეშოინი	154
აბრეშუმის ჭიის მოვლა	108		
ქსოვა	110	სიტყვების განმარტება	156
ზიარეთობა	112		
მეიდან-ოდა//მისაფირ-ოდა	114	ილუსტრაციები	170
 <b>სამეურნეო ყოფასთან</b>	117		
<b>დაკავშირებული ტრადიციები</b>			
 ნაცხრამარტევი	120		
ბუნებრივი მოვლენების "მოტყუების" ჩვეულება	120		
„მძლევარი“ გუგული	122		
ხარის შებმა	124		
ლეგენდები ტბის ხარის შესახებ	126		
კანუღის//ყანუღის გაღება	128		
ხარმანობა	130		
ლაზარობა	132		
"ოთხმოცი ათასი ქვის კენჭის შელოცვა"	134		
ქვაკაცები	136		
მემხლიანობა//მენხლიანობა	138		
მემთევრობა	140		
შუამთობა	142		



რა წისქვილის ქვა არ მობრუნებულა მის თავზე, რა ქარტეხილი არ გადაუტანია, რამდენ ტკივილს და ვაებას გაუძლო აქარელმა გლეხვაცმა, თუმცა, ნირი ვერაფერმა უცვალა, წინაპრების დანატოვარი ვერ დაავიწყა, სულსა და გონებაში ჩაბეჭდილ ხატებას ვერაფერი დააკლო და ყველანაირ გასაჭირში ნაღვერდალი-ვით უბერა სული წინაპართა დანატოვარს, უბეში შეიფარა, კალთაში გამოახვია, იმ გაუსაძლის გასაჭირშიც კი ჩურჩულით, მალვით, მინიშნებებით გადასცა მემკვიდ-რეებს და დღემდე დიდი რუდუნებით მოიტანა ქართული მიწის მადლი, ქართული სულის ყივილი, ტრადიცია თუ დღესასწაული და ამ დრომდე მამაპაპური წესით ხვდება ახალ წელს, ლოცავს პატარძალს, უჩოქებს ვაზს, ხნავს, თესავს და ხელმადლიანი დიდნენეს ჰვარდასმული მჭადივით ელოლიავება ტრადიციებში შენახულ ქართველობას, რადგან კარგად იცის, თითოეული ერის უნივერსალურო-ბა ტრადიციებში ვლინდება. ყველა ერი თუ ეთნოსი არსებობს მანამ, სანამ თვითმყოფადობასა და ტრადიციებში განსხვაულებულ კულტურულ იდენტობას ინარჩუნებს. ამიტომაც შემორჩა დღემდე აქარის ყოფას ხალხში დამკვიდრებული ადათ-წესები, დაუწერელი ჩვეულებითი ნორმები და მამაპაპისეული რჩული.

ტრადიციები და რიტუალები ერთგვარი კულტურული ძეგლებია, ისევე, როგორც ლაზური სახლები და სვანური კოშკები, უძველესი ციხე-სიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები, რადგან „თუ ძეგლების მიხედვით ჩვენ ვსწავლობთ წარსული ეპოქის ხელოვნებას, სამშენებლო ტექნიკას, ვარგვევთ ოსტატების ნიჭსა და უნარს, დღესასწაულების გამოვლენასა და მათ დაცვას, ასევე, საიმედოდ მივყავართ ერის ზნეობრივ სიმდიდრეთა გამომუდავნებისაკვენ“ (ჭ. რუხაძე). ამდენად, ტრადი-ციები მნიშვნელოვანია ყოველი ეთნოსის ისტორიისა და კულტურული მემკვიდ-რეობის შესასწავლად.

აქარაში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ტრადიციები და რიტუალები საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა და იხვეწებოდა, ამიტომ, საკმაოდ ტრანსფორმირებული სახითაა შემორჩენილი. მათში შემონახულია არა მხოლოდ ხანგრძლივ სამეურნეო-შრომით პროცესში დაგროვილი ემპირიული გამოცდილება, არამედ ხალხის საქმიანობასა და ცხოვრებასთან დაკავშირებული ბევრი სხვადასხვა ტრადიცია, სულიერი კულტურის არაერთი მნიშვნელოვანი ელემენტი: რწმენა-წარმოდგენები, მაგიურ-რელიგიური რიტუალები და დღე-სასწაულები, სიმბოლოები, სიტყვიერი მაგია, სარიტუალო კერძები, რომლებიც თითქმის ყველა დღესასწაულს ამშვენებდნენ, ხალხური რელიგიური აზროვნების სხვადასხვა ასპექტი.



## ❖ ხალეური მჩაღისტიკი და ჩიტუალები აქარაში

აქარის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის უნიკალურობა სწორედ იმაშია, რომ აქ, თურქთა სამასწლოვანი ბატონობის, რელიგიურ რწმენათა და კულტურულ ფასეულობათა სიქრელის პირობებშიც კი, შემოინახეს საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციები. თუმცა, ბუნებრივია უცხო რელიგიამ თავისი კვალი დაარჩნია ტრადიციებსაც და აქ წეს-ჩვეულებები სინკრეტული სახითაა წარმოდგენილი. მათში სამი რელიგიის: წინაქრისტიანული, ქრისტიანული და მუსლიმური დანაშრევები თანაარსებობენ. დღეს, ჩვენ სწრაფად ცვალებად კულტურულ-პოლიტიკურ ვითარებაში, როცა ყალიბდება ახალი მსოფლმხედველობრივი პოზიცია, ჩნდება ახალი ღირებულებითი ორიენტირები, ბევრი ხალხური ტრადიცია, ფაქტობრივად, ჩვენ თვალწინ კვდება, ყოფაში შემონახული რიტუალების წარმოჩენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ერის სულიერი ფასეულობებისა და მენტალიტეტის შენარჩუნებაში.

აქარის მდიდარი ტრადიციული ყოფა ოდითგანვე იქცევდა ქართველი და უცხოელი მოგზაურ-მკვლევრების ყურადღებას. მათ ჩანაწერებში არაერთი საინტერესო წეს-ჩვეულება და ადათია აღწერილი. აქარულ რიტუალებს და ტრადიციებს ათწლეულების განმავლობაში აგროვებდა, იკვლევდა და სწავლობდა მეცნიერთა არაერთი თაობა, რომელთაც უდიდესი წვლილი მიუძღვით ამ ტრადიციების არქაული ფორების აღდგენასა და შენარჩუნებაში. სწორედ ამ ფასდაუდებელ საველე-ეთნოგრაფიულ მასალასა და ნაშრომებს ეყრდნობა წინამდებარე გამოცემა.

აქარულ ტრადიციებთან ერთად, ზოგიერთი ლაზური რიტუალიც გავიხსენეთ, რადგან აქარაში მცხოვრები ლაზების ტრადიციული ყოფა გადაჯაჭვულია აქარულ წეს-ჩვეულებებთან.

აქარაში ტრადიციები რთული, კომპლექსური სახითაა შემორჩენილი. ამიტომაც ძნელია ამ ტრადიციების გამიჯვნა მათი ფუნქციური დანიშნულების მიხედვით. ჩვენ შევეცადეთ სამ ძირითად კატეგორიად დაგვეყო ისინი, თუმცა ეს კლასიფიკაციაც პირობითია, რადგან თითოეული რიტუალი თავისთავში მრავალ განსხვავებულ მომენტს შეიცავს.





ადამიანის ცხოვრების  
სხვადასხვა ეტაპთან  
დაკავშირებული რიტუალები





ტრადიციები და რიტუალები მქიდროდ იყო დაკავშირებული ადამიანის ცხოვრების ციკლთან და, ძირითადად, ადამიანის ცხოვრების გზას ასახავდა დაბადებიდან სიკვდილამდე, ყოველდღიურობასა და ოჯახურ ტრადიციებს. ცხოვრების სხვადასხვა ეტაპი, ბავშვების აღრმდა, საკვებსა თუ სხვადასხვა საქმიანობასთან დაკავშირებული მომენტები, საუკუნეების განმავლობაში შემუშავებულ გარკვეულ წესებს ემორჩილებოდა და საკულტო შინაარსით იყო გამსჭვალული, რადგან ადამიანი რელიგიური წარმოდგენებით ნასაზრდოებ რეალობაში ცხოვრობდა. იმის მიუხედავად, თუ რას აკეთებდა აქარელი კაცი-იმედით ეგებებოდა ახალ წელს, რგავდა და თესავდა გაზაფხულზე, სიხარულით იმკიდა თავისი შრომის ნაყოფს შემოდგომაზე, ზამთრის გრძელ ღამეებს რთვა-ქსოვაში ატარებდა, ქორწილს იხდიდა, აკვანს არწევდა, სტუმარს სიხარულით ეგებებოდა, მტერს მაჭახელის თოვით ხვდებოდა, ილხენდა თუ გლოვობდა, მუდამ ღმერთს იყო მინდობილი, მას ავედრებდა თავის ოჯახს, თავის ნაღვან-ნამკალს და მადლიერებას გამოხატავდა. ამიტომაც ცხოვრების სხვადასხვა ეტაპთან დაკავშირებული ტრადიციები, რაციონალურ ქმედებებთან ერთად, მრავლად შეიცავდა დღესასწაულებს, მაგიურ ქმედებებს, აკრძალვებს, გართობა-თამაშობებს, უარყოფითი ძალებისგან თავდასაცავ რიტუალებს, სიტყვის მაგიას, მსხვერპლშეწირვასა და სხვ.



## ქორწინებასთან დაკავშირებული რიტუალები

ქორწინება საოჯახო ყოფის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. ტრადიციულად, აჭარაში ახალგაზრდების დაქორწინება მთელი ოჯახის და სანათესაოს საქმედ მიიჩნეოდა. ისინი საქორწინო ციკლის ყველა ეტაპში იყვნენ ჩართულინი. ჩვეულებრივ, სარძლოს ქორწილში, ნადში, შუამთობის ან სხვადასხვა დღესასწაულის დროს ირჩევდნენ. დასაქორწინებელი წყვილის შერჩევისას, მშობლებთან ერთად, დიდი უფლებებით სარგებლობდა დედის ძმა - ტაია. ქალ-ვაჟის შერჩევა ოჯახების ინტერესებიდან გამომდინარე ხდებოდა. სასიძო-საპატარძლოს პირად თვისებებთან ერთად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა მათი ოჯახის ავკარგიანობას და ღირსებას, საგვარეულოს გავლენიანობას და ავტორიტეტს.

რასაკვირველია, დროთა განმავლობაში საქორწინო რიტუალები შეიცვალა და მხოლოდ ხალხის მეხსიერებამ შემოინახა ნიშანლობა, აღდის გაკვეთა, აკვანში დანიშვნა თუ ბაშლულის მოთხოვნა. ამ თავში ჩვენ შევეცდებით გავიხსენოთ საქორწინო ციკლის ზოგიერთი მივიწყებული ეტაპი და ტრადიციული ელემენტი.



### შუამავლობა

საცოლედ თუ სარძლოდ ქალიშვილის შერჩევას, „შეგულებას“, გოგოზე „თვალის დაკავებას“ უწოდებდნენ. ქალის მოწონების შემთხვევაში, საქ-მეში ერთვებოდა შუამავლი, რომელიც ორ ოჯახს შორის მოლაპარაკებას აწარმოებდა ქორწინების საკითხის მოსაგვარებლად. სწორედ ის მიდიოდა ქალიშვილის ოჯახში და „შემგულებელთა“ სურვილს აცნობდა. საქმის გადაწყვეტა ამ ერთი მისვლით არ ხდებოდა. თუ ოჯახს არ სურდა ქალიშ-ვილი შეთავაზებულ პირზე გაეთხოვებინა, შუამავალს უარით ისტუმრებდა. თუმცა, ეს უკანასკნელი ასე ადვილად არ ნებდებოდა. რამდენიმე მისვლისა და უარის შემდეგ, შუამავალი თუ მაინც მივიდოდა ქალის ოჯახში, სუფრას აღარ გაუწყობდნენ. ზოგან, საბოლოო უარის ნიშნად, ოჯახის უფროსი „ჯოხს გატეხდა“ და სუფრაზე დადებდა (შუახევი). ეს მისი საბოლოო





გადაწყვეტილების ნიშანი იყო. „ჭოხის გატეხვის მემრე მურავი აღარ  
იკადრებდა მისვლასო“ - ამბობდნენ. თუ საქმე დადებითად გადაწყდებოდა,  
„პირობა, სიტყვა გამოვიდა“, „ამბავს თავი მუუთიკრეთ“ (ქობულეთი),  
„საქმე მოვჭარითო“ (ხელვაჩაური) - იტყოდნენ. საქმის კეთილად დასრუ-  
ლების მოლლოდინში მყოფ შუამავალს ზოგჯერ თან ჰქონდა ბეჭედი ან სხვა  
ნივთი და საბოლოო თანხმობის შემთხვევაში, პირობის გასამყარებლად,  
ბელგად, ბედ უტოვებდა ქალიშვილის მშობლებს. თუმცა უმეტესად,  
„სიტყვის გამოტანა“ ანუ სიტყვიერი პირობაც საკმარისი იყო.




## 60შნობა

საქმის დადებითად გადაწყვეტის შემდეგ, ნიშნობის და ბოხჩის მიტანის დღეზე ხდებოდა შეთანხმება. ნიშნობისთვის არჩევდნენ დღეებს, რომლებიც იღბლიანად ითვლებოდა - სავსე მთვარის შაბათს ან ჰუმას (პარასკევი), რათა ახალდაქორწინებულთა ოჯახი ამ მთვარესავით სიკეთით და სიხარულით ყოფილიყო სავსე. ნიშნობისთვის განკუთვნილ ბოხჩაში შედიოდა საპატარძლოსთვის მისატანი აუცილებელი საჩუქრები: სამკაულები და ალთუნები, რომელსაც დანიშნული ქალი შებლზე იკეთებდა. განსაკუთრებით საპატიოდ ითვლებოდა სარძლოსთვის ვერცხლის ქამრის მირთმევა. საჩუქარი დანიშნულის დედისთვისაც მიჰქონდათ. თუ ქორწილი დიდხანს ვერ გაიმართებოდა ან დანიშნული გოგონა ასაკით იმდენად პატარა იყო, რომ ვერ ვერ გაათხოვებდნენ, ნიშან-ბოხჩასთან ერთად, მას ტანსაცმელს და სხვა პირად ნივთებსაც მიუტანდნენ ხოლმე. ამას საცვეთ ბოხჩას ეძახდნენ. ზემო აჭარაში ხშირად ნიშნობაზევე ხდებოდა აღდის გაქრა//აღდის გაკვეთა.



❖❖❖❖❖ საღერი მრავილი და რითუალები აჭარაში





## აღდის გაკვეთა

აღდის გაჭრა//აღდის გაკვეთა მუსლიმური წესით ქორწინების ოფიციალური გაფორმებაა. ამ დროს სასულიერო პირი - მოლა ან ხოჭა არაბულ ენაზე ადგენდა ნიქახს - ქორწინების დოკუმენტს, სადაც განსაზღვრული იყო თანხის ის რაოდენობაც, რომელიც ვაჟის ოჯახს უნდა გადაეხადა ქალისთვის როგორც ქორწინებისას, ასევე განქორწინების შემთხვევაში. აღდის გაჭრაში თავად დასაქორწინებელი პირები არ მონაწილეობდნენ. მათ თანხმობას სასულიერო პირს „ვექილები“- ქალ-ვაჟის წარმომადგენლები უდასტურებდნენ. თუმცა ბოლო პერიოდში ეს წესი შეიცვალა და აღდის გაკვეთას თავად სიძე-პატარძალიც ესწრებოდა. აღდის გაჭრის შემდეგ ქორწინება ოფიციალურად გაფორმებულად ითვლებოდა.



## ნიშანლობა

ნიშნობიდან ქორწილამდე ზოგჯერ საკმაოდ დიდი დრო გადიოდა, ამიტომ დასაშვებად ითვლებოდა სასიძოსა და საპატარძლოს შორის ქორწინებამდე კავშირი - ნიშანლობა. ეს იყო დანიშნული ქალ-ვაჟის შეხვედრის ძველი ტრადიცია სიმამრის სახლში. ნიშანლობის პირველი დღე - სასიძოს პირველი მისვლა საცოლის ოჯახში - ოფიციალურად აღინიშნებოდა „დაპაიკნით“. ეს იყო თითქმის ქორწილის ტოლი ცერემონია. საზეიმო ვახშმის შემდეგ, სასიძო სასიმამროს ოჯახში რჩებოდა. დაპაიკნის შემდეგ, სიძე ხშირად დადიოდა სანიშანლოდ, ოდონდ სასიმამროსთან შეხვედრას ერიდებოდა. ვაჟი დანიშნულთან ფარულ ვიზიტს საცოლის ახლობელი ქალების და ზოგჯერ სასიდედროს დახმარებითაც ახერხებდა, ხშირად სახლში სარკმლიდანაც კი იპარებოდა. ნიშანლობა შეიძლებოდა წელიწადზე მეტხანს გაგრძელებულიყო და ქალს შვილიც კი შესძენოდა მამის ოჯახში, რაც სირცევილად არ ითვლებოდა. ასეთ ბავშვს სასელას ეძახდნენ. ქალი მშობიარობის შემდეგაც შეიძლებოდა დარჩენილიყო თავის სახლში და ქმრის ოჯახში უკვე ფეხადგმული ბავშვი მიეყვანა. ნიშანლობის ტრადიცია დიდხანს შემორჩა ზემო აჭარას.



საღერი მჩალიშილი და რიტუალები აქარაში





## “ტურაქორწილი”, ნაყვანის ქორწილი

ქალის დანიშვნის შემდეგ, დასამოყვრებელი ოჯახები ქორწილის გამართვის დროზეც თანხმდებოდნენ. საქორწინოდ მზადება ყველა წესის დაცვით მიმდინარეობდა. თავდაპირველად პატარძლის სახლში იმართებოდა შედარებით პატარა, ტურაქორწილი. ჩვეულებრივ, თავად სასიძო არ მიღიოდა ქალის წამოსაყვანად. ამ საქმეზე იგზავნებოდნენ მაყრები - სასიძოს მამა, ბიძები, ძმები, ნათესავი მამაკაცები და დადე - ნათესავი ქალი, რომელსაც უშუალოდ ევალებოდა დედოფლის წამოყვანა. მაყრიონს თან მიჰყვებოდნენ დამკვრელები თავიანთი დავლა-ზურნითა და ჭიბონით. ქორწილი ქალის ოჯახში რამდენიმე საათს გრძელდებოდა. იმართებოდა ლხინი, მხიარულება და დროსტარება. ქორწილის დასასრულს, დავლის დამკვრელი ნეფის დადეს წინ დავლს დაუდებდა და ეტყოდა - “დავლზე ქამარი გამიწყდაო”. ეს რიტუალი პატარძლის ოჯახში ქორწილის დასრულების მაუწყებელი იყო. დადე დავლის დამკვრელს ასაჩუქრებდა და მაყრებს წასასვლელად უხმობდა. სახლიდან გამოყვანამდე, დედოფალს საქორწინო თავსაბურავს - ტვალს//დუალს ახურავდნენ. სამამამთილო დედოფლის დედას „ძუძუს ფარით“//“რძის ფარით“ ასაჩუქრებდა. პატარძლის ბებია, ძმა ან ბიძაშვილი იმ კარს კეტავდა, საიდანაც დედოფალი უნდა გამოეყვანათ. სამამამთილოს ან ნეფის დადეს აქაც ფული უნდა გადაეხადა. ამ რიტუალს კარის დასამყრელოს//კარდასამყრელოს//კარის დასამკეტოს//კაფიხარჯს ეძახდნენ. ამის შემდეგ მაყრიონიც აიშლებოდა - “გზას სიმღერა ვუთხრათო” და ხალისიანი ხმაურითა და „ორიორას“ სიმღერით მიჰყვებოდნენ ცხენზე ამხედრებულ დედოფალს. ნეფის სახლში მისვლამდე მღეროდნენ “მგზავრულს”, “ხასანბეგურას”, “მაყრულს” და დიდი ზარ-ზეიმით მიაბრძანებდნენ პატარძალს სასიძოს ოჯახში.





## მუზდებალიში


მაყართა შორის მახარობლად შერჩეულ დედოფლის ნათესავ ვაჟს - მუზდექს//მუზდუქს დედოფლის მიერ სპეციალურად შეკერილ, შუაში პატარა სარკეჩაკერებულ და დაქარგულ სამახარობლო ბალიშს - „მუზდებალიშს“ ატანდნენ სასიძოს სახლში. ოჯახის უფროსი ეზოს გარეთ ეგებებოდა მახარობელს, რომლის მოთხოვნითაც გამოჰყავდა ეზოში დამალული სიძე. მახარობელს „მუზდებალიში“ სიძისთვის უნდა გადაეცა, მაგრამ ჭერ აწვალებდა - ტყუილად გაუწვდიდა ბალიშს, შემდეგ კი „გაუქნევდა“ - მოულოდნელად ესროდა. სიძეს ბალიში უნდა დაეჭირა და გაქცეულიყო, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი ამას ვერ მოახერხებდა, თუ „ძაბუნი ნეფე“ იყო და ვერ დაიჭერდა ბალიშს, სიცილს დააყრიდნენ და შეარცხვენდნენ. მასპინძლები შერბეთს შეასმევდნენ მახარობელს, მხარზე წითელ მოსახვევს შემოაკრავდნენ და შამფურით - „შაშლიგით“ დაასაჩუქრებდნენ. „მუზდებალიშს“ არ იყენებდნენ და წლების განმავლობაში ოთახის კუთხეში ჩამოკიდებულს ინახავდნენ.



## მტერობაში მოყვრობის ჩამოგდება

ადრე, თუკი ორ ოჯახს ან გვარს შორის რაიმე მიზეზით მტრობა ჩამოვარდებოდა, ამ გვარის თუ ოჯახის უხუცესი წევრები მათ შერიგებას და „ზავის ჩამოგდებას“ ცდილობდნენ. მტრობისა და სისხლისღვრის თავიდან აცილების ერთ-ერთი რეალური გზა დამოყვრება-დანათესავება იყო. „მტერობაში მოყვრობა ჩამოვაგდოთო“ - გადაწყვეტდნენ და უთანხმოებაში მყოფი ერთი ოჯახის ქალს მეორე ოჯახის თუ გვარის ვაჟზე გაათხოვებდნენ. ეს ქალი ორივე მხარისთვის პატივსაცემი პიროვნება ხდებოდა. მას „სისხლში მიცემულ ქალს“ ეძახდნენ, რადგან სისხლს წმენდდა ორივე ოჯახს, ორივე გვარს.








## მოყვანის ქორწილი

ვაუის ოჯახში იმართებოდა „მოყვანის“ ქორწილი, სადაც, ტრადიციულად, მრავალი წესი სრულდებოდა ახალშექმნილი ოჯახის შემდგომი ბედნიერებისა და წინსვლისთვის. ეზოში შესულ პატარძალს ხელისმტაცნელი// ხელისმომკიდე ცხენიდან მანამ არ ჩამოსვამდა, სანამ მამამთილისგან ე.წ. „უზანგის საჩუქარს“ არ მიიღებდა. სახლის კართან კი დედამთილი ეგებებოდა, რძალი კერასთან/ ბუხართან მიჰყავდა და იმისთვის, რომ ფეხებედნიერი გამომდგარიყო და ახალ ოჯახს ადვილად შერწყმოდა, სხვადასხვა წესს ასრულებინებდა: კერიაზე ფეხს მოასმევინებდა, საცეცხლურის ჭაჭვზე ხელს მოაკიდებინებდა, კეციდან მჭადს აარეკინებდა, ბუხარზე ცომს მიაცხებინებდა და ბოლოს თაფლიან თითსაც მოასმევინებდა კერიაზე - „ხელთაფლიანი“ იქნებაო. სამზარეულოდან პატარძალი სასტუმრო ოდაში გაჰყავდათ, სკივრზე სვამდნენ და კალთაში პატარა ბიჭსაც ჩაუსვამდენენ - ვაუიანობის დასაბედებლად. სიძე-პატარძალს ერთი ქიქიდან შეასმევდნენ შერბეთს. მაყრებსაც ჭერ შერბეთს მიართმევდნენ და შემდეგ იწვევდნენ საქორწინო სუფრაზე.







## ტვალის//დუალის ახდა


ქორწილის დღეს, მშობლების სახლიდან წასვლის წინ, პატარძალს მამა ან ძმა თავზე საქორწინო თავსაბურავს, კონცესის ფორმის მუყალს ქუდზე გადმოფარებულ წითელ ჩადრს - ტვალს//დუალს ახურავდა, რომელიც საკმაოდ გრძელი იყო და დედოფლალს მუხლებამდე ან კოჭებამდე წვდებოდა. საქორწინო ცერემონიალის დროს, სიძის ოჯახში, ვახში შემდეგ, დედოფლისთვის განკუთვნილ ცალკე ოთახში იწვევდნენ პირისამხდელს - დედოფლის ძმას ან ბიძაშვილს, რომელიც ყამის წვერით ახდიდა დედოფალს დუალს//ტვალს, სინით მორთმეულ მოხარშულ დედალს და ხაჭაპურს ხანკალზე წამოაგებდა და გარეთ გავარდებოდა. ზოგან ახდილ ტვალს ხანკლის წვერით მიასობდნენ თავანში, კარის თავზე, ან დედამთილს გადასცემდნენ და მიუმღერებდნენ: „დაიჭირე და მოსრისე კარგადო, რომ არ აგიღოს მასხრადო“. ისიც არ იხევდა უკან, დაჭდებოდა ტვალზე, უბეში ჩაიდებდა, ფეხითაც კი შესდგებოდა ზედ. ზოგჯერ პირისამხდელი თავად აიღებდა ტვალს და რომელიმე გასათხოვარ ქალიშვილს მხრებზე შემოახვევდა, რითიც თავისთვის „დეიპირებდა“. ვაჟის მხარეს ტვალის ახდის შემდეგ ეძლეოდა დედოფლის ნახვის საშუალება. ყოველ შემომსვლელს პატარძლისთვის „პირსანახავი“ საჩუქარი უნდა მიერთმა.



## სუფრის დაკავება

სიძის ოჯახში გამართულ ქორწილში დედოფლის მაყრები დიდი უფლებებით სარგებლობდნენ: გევუზობდნენ, ჭირვეულობდნენ, შეეძლოთ ახალალი, ძნელად საშოვი თუ მოსამზადებელი კერძი ან სხვა რამ მოეთხოვათ. ამას რუსუმს ეძახდნენ. სანამ მასპინძლები რუსუმს არ შეასრულებდნენ, მაყრები სუფრიდან არ დგებოდნენ. ეს იყო სუფრის დაკავების წესი. ქორწილში მოწვეული სტუმრები რიგრიგობით უნდა დამსხდარიყვნენ, „სუფრის დაკავება“ კი სხვა სტუმრების გამასპინძლებას აფერხებდა. მოთხოვნების დაკავილების შემდეგ, მაყრები მასპინძლებს „სუფრას აჩუქებდნენ“ - დგებოდნენ სუფრიდან. ზოგჯერ მაყრები წასვლის წინ სროლასაც ატეხდნენ. ეს სირცხვილად ითვლებოდა ოჯახისთვის. „თოფი გადაგვაწვა მაყარმაო“ - იტყოდნენ გულნატკენი მასპინძელები.








## სადილის მიტანა

აქარაში გათხოვილ ქალიშვილზე ზრუნვა მისი ქორწილის შემდეგ როდი წყდებოდა. მშობლები ახალ ოჯახშიც მისი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მომენტის მონაწილეები იყვნენ. ერთ-ერთი აუცილებელი რიტუალი გათხოვილი ქალისთვის „სადილის“ ანუ სხვადასხვა სახის ტკბილეულის მიტანა ყოფილა. ქობულეთში კი, გარდა საყოველთაოდ მიღებული ტკბილეულისა, მრგვლად მოხარშული ინდაურისა და ღვეზელების მირთმევაც აუცილებელი იყო.

სადილის მიტანასთან დაკავშირებით ერთი უძველესი თქმულებაც არსებობს: ნოე წინასწარმეტყველს სამი დურგალი ჰყოლია და სამივეს ქალიშვილის მითხოვებას შეჰქირებია. მას მხოლოდ ერთი ქალიშვილი ჰყავდა და დანაპირების შესრულების დრო რომ დამდგარა, საგონებელში ჩავარდნილს, ასეთი ხერხისთვის მიუმართავს: თავისი ქალი, ერთი დედალი ძაღლი და ერთი დედალი ვირი ოთახში დაუმწყვდევია და ღმერთისთვის შეწევნა უთხოვია. დილით ოთახში სამი პირმშვენიერი ქალიშვილი დახვედრია, რომლებიც დურგლებისთვის მიუთხოვებია. ორ კვირაში, ნოე ქალიშვილების ოჯახებს სპეციალურად გამზადებული ძღვენით - სადილით სტუმრებია და მაშინ შეუტყვია, რომ ამ ქალებიდან ერთი ძალიან ჭიუჭი იყო, მეორე ძალიან ავი, მესამე კი - ღვთისმოშიში და მშვიდი. მან მარტივად ამოიცნო თავისი ასული და სადილის მიტანის ჩვეულებაც აქედან დარჩენილაო - ასე სწამთ აქარაში.



საღერი მრავილი და რეზულტატი აქარაში





## ლაზური საქორწინო ტრადიციები

ლაზები საუკუნეების განმავლობაში მტკიცედ იცავდნენ ტრადიციულ საქორწინო ჩვეულებებს, ამიტომ ლაზურ ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდე კარგადაა შემონახული საქორწინო ციკლის ყველა ეტაპი შუამავლობიდან დაწყებული ლამაზი, მხიარული, ფერადოვანი საქორწინო ზეიმით დასრულებული. ისინი საერთო-ქართველური საქორწინო ტრადიციების საინტერესო ნაწილს წარმოადგენენ და, მსგავს რიტუალებთან ერთად, ლოკალური თავისებურებებითაც ხასიათდებიან.



### მეჩეთი

მეჩეთი დაბადებამდე დანიშვნის ჩვეულებაა, რაც ლაზურმა ეთნოგრაფიულმა ყოფამ შემოინახა. თუ მეგობრების ცოლები ერთდროულად დაფეხმდიმდებოდნენ, ახლობლობის შენარჩუნებისათვის, მომავალი მშობლები მოილაპარაკებდნენ, რომ თუ ქალ-ვაჟი შეეძინებოდათ, დამოყვრებულიყვნენ. ტარდებოდა აკვანში დანიშვნის რიტუალი, რაც აკვნების ერთმანეთზე მიდგმით ხდებოდა. ბავშვების დაბადების შემდეგ გოგოს მხარე ნიშნობისმაგვარ წვეულებას - მცირე დუგუნს მართავდა. ვაჟის ოჯახი აკვანში მწოლ საპატარძლოს ოქროს სამკაულებს მიართმევდა, გოგონას ოჯახი კი სტუმრებისათვის სხვადასხვა სახის კერძებს, ფლავს, ნამცხვრებს ამზადებდა. ამის შემდეგ ეს ოჯახები დამოყვრებულებად ითვლებოდნენ.



### დაწინდვა

სასურველი გოგონას დათავისების - დაწინდვის ყველაზე გავრცელებულ ფორმას ლაზებში გასათხოვარ გოგონაზე მხრებზე ხელის დაკვრა ან იაზმის - მანდილის მოხდა წარმოადგენდა. ვაჟი შესაბამის დროს ელოდა და შესაძლებლობის შემთხვევაში, სასურველ ქალს თავსაბურავს მოხდიდა ან მხარზე მსუბუქად დაჰკრავდა ხელს. ხემენთხიმეი - ხელწაკარებული ქალიშვილი სხვას ვეღარ მისთხოვდებოდა. ვაჟი იაზმას ინახავდა და თუ ვინმე ქალიშვილის ხელის თხოვნას შეეცდებოდა, მაშინვე თავსაბურავს აჩვენებდა და ამით შეახსენებდა, რომ გოგო დათავისებული ჰყავდა. თუ ქალიშვილს დამთავისებელი არ მოსწონდა, შეიძლებოდა გაპარულიყო და სხვას მისთხოვებოდა. ამას ომტინუს - გაპარვით დაქორწინებას ეძახდნენ.







## შუამავლობა

საპატარძლოს გამორჩევის ყველაზე გავრცელებული წესი შუამავლობა იყო. შუამავლად - ელჩად ავტორიტეტულ და საზოგადოებაში დაფასებულ ხანდაზმულ ქალს ან კაცს ირჩევდნენ. უპირატესობა დედისა და მამის ძმას ენიჭებოდა. მომავალი საპატარძლოს ოჯახში პირველად მისვლისას, ელჩს თან ტკბილეულობა მიჰქონდა. თუ საქმეს წარმატებით დასრულების პირი არ უჩანდა, მაშინ ელჩს მის მიერ მიტანილ ტკბილეულობას უკან მიუბრუნებდნენ, მაგრამ თუ საქმე წარმატებით უნდა დაგვირგვინებულიყო, ტკბილეულობას გახსნიდნენ და ელჩს მიართმევდნენ. დადებითი პასუხის მიღების შემდეგ ელჩი ნიშნობის შესახებ შეუთანხმდებოდა საპატარძლოს ოჯახს.



## სიჯალიკობა

ნიშნობის შემდეგ საპატარძლოს ოჯახში სასიძო, ე.წ. ნიშანლი სიჯა იწყებდა სიარულს ქორწინებამდე საცოლესთან ფარულად შეხვედრის მიზნით. საპატარძლოს მამისეულ ოჯახში სიძის ჩუმი ვიზიტები ხუთშაბათობით ხდებოდა. ამის შესახებ ყველამ იცოდა, მაგრამ საცოლის ახლო ნათესაობა და საოჯახო წრე არაფერს იმჩნევდა. ხუთშაბათი სიძეების დღედ ითვლებოდა. სიჯალიკობის დროს, სასიძოს მომავალი სასიმამროს სახლში პატივის-ცემით ეპურობოდნენ, ქალები ტკბილეულითაც კი უმასპინძლდებოდნენ, თუმცა ოჯახის მამაკაცებს არიდებდნენ. ლაზური სიჯალიკობა შეიძლებოდა ორი-სამი წელი გაგრძელებულიყო.







## აღდი ოხვენუ//ნიშანი ოხვენუ

აღდი ოხვენუ ნიშნობის ცერემონიალი იყო. საპატარძლოს ოჯახში იმართებოდა წვეულება, რომლის დროსაც ხოჯებისგან უნდა დადასტურებულიყო მათ მიერ შექმნილი ოფიციალური დოკუმენტი - აღდი ნიქები („ნიშნობის აქტი”), რომელშიც განსაზღვრული იყო მხარეთა უფლება-მოვალეობები. ნიშნობას დაახლოებით ოცი-ოცდაათი ადამიანი ესწრებოდა. სასიძოს ოჯახს საპატარძლოსთვის ოქროს სამკაულები მიჰქონდა. საპატარძლო კი, თავის მხრივ, საქმროს ოჯახში მისატანად სასაჩუქრე ბოხჩას ამზადებდა. ბოხჩა დედამთილ-მამამთილის, მაზლის, მულის და მათი შვილებისთვის განკუთვნილი შინნაქსოვი და ხელნაკეთი ნივთები იყო.



## კუჩხეშ ქთალა (კუჩხეშ ქთალაში)

კუჩხეშ ქთალა - ფეხის მობრუნება ერქვა მეოთხე ან მეშვიდე დღეს პატარძლის სტუმრობას მამისეულ სახლში. მას თან სპეციალურად დამზადებულ ტკბილეულს ატანდნენ. პატარძალი მამის სახლში ერთი ან რამდენიმე დღით რჩებოდა და შემდეგ უკან, თავის ახალ სახლში ბრუნდებოდა. ამის მერე სიძეს სიმამრის მხარე სტუმრობდა, რითაც საქორწინო პერიოდი სრულდებოდა.







## ჰანდა

ჰანდა ტრადიციული ლაზური ქორწილია. დღეს, თურქულის გავლენით, დუგუნს ეძახიან. ქორწილისთვის ყველაზე სასურველი დრო შემოდგომა იყო. ნოღამეს - პატარძლის ოჯახში დიდი სუფრა არ იმართებოდა. სიკას - სასიძოს ოჯახს მეტი მომზადება სჭირდებოდა. საქორწილო სამზადისს სახლის უფროსი ხელმძღვანელობდა. სტუმრებს ქორწილამდე სამი დღით ადრე ეპატიურებოდნენ. ქორწილის დღეს საპატარძლოს წამოსაყვანად ვაჟის მაყარი - მაყრიონი სასიძოს გარეშე მიემართებოდა. პატარძალი ქორწილის დღეს საგანგებოდ ემზადებოდა და იკაზმებოდა. მამიდაშვილბიძაშვილები ფეხს დაბანდნენ, წინდასა და ფეხსაცმელს შორის ფულს ჩაუდებდნენ, რომელსაც პატარძალი საქმროს სახლში მისვლისას ჩუქნიდა გოგონას, რომელიც ფეხს დაბანდა. მაყრიონს წასვლის წინ სახლეულის უფროსი - პაპული (ბაბუ) ლოცავდა. როცა პატარძალი მაყრიონს სახლიდან გამოჰყავდა, დედოფლის ძმას - ჭუმას ან ბიძაშვილს - ჭუმადიშს გასასვლელი კარის ორივე მხარეს ხანკლები უნდა ჩაერჭო, ხოლო ბიჭის მხარეს ხანკლები ფულის კუპიურით უნდა გადაეფარა. ამის შემდეგ ამოაძრობდნენ კარებიდან ხანკლებს. პატარძალი სასიძოს მამისეულ სახლში თავდაბურული - ფატით მიჰყავდათ. ფატა პატარძლისთვის მომავალ ქმარს უნდა აეხადა. სახლში ფეხშედგმულ პატარძალს სადედამთილო - დამთირე თავზე ბრინჯს, ფულსა და კამფეტებს გადააყრიდა და ნეფე-დედოფალს ხანკლების ქვეშ გაატარებდა. შემდეგ ამ ხანკლებს მამამთილი და მაზლი კარებზე დაასობდნენ.

ქორწილის მეორე დღეს პატარძალს ახალი ნათესავები სტუმრობდნენ და ასაჩუქრებდნენ, ხოლო მესამე დღეს, დილას მჭადს დააკვრევინებდნენ. ამის შემდეგ ის საოჯახო საქმეებში ერთვებოდა.








## ქართველი კულტურის მიზანი

ბავშვის შეძენას ყოველთვის დიდი სიხარულით ხვდებოდნენ აჭარაში. პატარას თავდაპირველად ხოჩიჩში//ხოჭიჭში აწვენდნენ, დაბადებიდან ორმოცი დღის შემდეგ კი საჩუქრად მოტანილ, ულამაზეს აკვანში გადააბრძანებდნენ. აკვნის მიტანა ახალშობილისთვის ქალის მშობლების მოვალეობად იყო მიჩნეული. სიძის ოჯახი ამ დღისთვის სპეციალურ წვეულებას - ძეობას მართავდა. ბებია-ბაბუა ახალშობილს მოართმევდა მოხარატებულ, საგანგებოდ დამზადებული საბან-ლეიბითა და მოქარგული საფენ-თეთრეულით გაწყობილ, სახაჭუნებით მორთულ აკვანს. ამ დღეს ქალის ოჯახი პატიუებდა ახლობლებს, უმეტესად ქალებს, რომლებსაც საჩუქრები მოჰქონდა მელოგინესა და ბავშვისთვის. მამის ოჯახი კი სპეციალურ სუფრას ამზადებდა, რომლის მთავარი კერძი „ბიჭის ფაფა“ იყო.

ბავშვის აკვანში პირველად ჩაწვენა სავსე მთვარეზე უნდა მომხდარიყო, რომ ბავშვი მთვარესავით „სავსე“ ყოფილიყო, თანაც აუცილებლად კარგ, „წაღმა“ დღეს, რათა „მისი საქმე წინ წასულიყო“. ძეობას საზეიმო ხასიათი ჰქონდა. წვეულების საპატიო სტუმრები იყვნენ მუსიკოსები, უმეტესად მეჭიბონები. მოწვეული ქალები ასრულებდნენ ცეკვა „ფადიკოს“ და საძეობო ფერხულს „ნაი-ნაი, ნინაინას“ - იგივე ქალთა ხორუმს. ეს არ იყო შემთხვევითი, რადგან ნაყოფიერებისა და შვილიერების უძველეს ქალღმერთ ნანას ეძღვნებოდა, რომელიც ჩვილთა მფარველადაც ითვლებოდა.







## ბავშვის აღზრდის ტრადიციები

საუკუნეთა მანძილზე, ქართველები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ბავშვების ფიზიკურ და სულიერ აღზრდას. ამისათვის შემუშავებული ჰქონდათ აღზრდის მეტად თავისებური და ორიგინალური სისტემა, რომელიც ხელს უწყობდა ბავშვს საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებაში.

მცირე ასაკში ბავშვის მოვლა მთლიანად დედას ევალებოდა. ის იყო პასუხისმგებელი ბავშვის აღზრდაზეც. მოზარდობის პერიოდში ქალთა და ვაუთა აღზრდის მეთოდები განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. 6 წლის ასაკიდან ბიჭის აღზრდა და ცხოვრებისთვის მომზადება უფრო მამის საქმე იყო, ვაუს მამა ასწავლიდა ცხენზე ჯდომას, თოფის სროლას, ნადირობას, საქონლის მომწყემსვას, შეშის დაწევას და სხვ. გოგო კი უფრო დედის, ბების და მამიდა-ბიცოლების გავლენით იზრდებოდა. სახლში ბავშვების ადგილი საქალებო ნაწილში, კერასთან, საბავშვო კუთხეში იყო. ასაკობრივ ცვლილებასა და ახალ მდგომარეობასთან ერთად, ბავშვი უფროსებისთვის განკუთვნილი ნაწილისკენ ინაცვლებდა.



### „ჭიპის მიქრა“

„ჭიპის მიქრა“ იყო პირველი ტრადიცია, რომელიც ბავშვის დაბადების-თანავე სრულდებოდა. ბავშვი, ჩვეულებრივ, ბებიაქალს – ებეს აჰყავდა და „ჭიპის მიქრის“ ცერემონიალს იმის მიხედვით ასრულებდა, ახალშობილი გოგონა იყო თუ ვაუ. ვაუს შემთხვევაში, ჭიპს რაიმე სამეურნეო ან სახელოსნო იარაღზე (თოხი, ბარი, გუთანი, გრდემლი ...) „მიაჭრიდნენ“, გოგონას კი ხერტალზე - ხელსაქმე ეყვარებაო. ოჯახში ბავშვის დაბადების აღსანიშნავად ჩატარებულ რიტუალებს მიეკუთვნება, ასევე, სპეციალური კერძის მომზადების ტრადიციაც. ვაუიანობის შემთხვევაში – „ბიჭის ფაფას“ აკეთებდნენ, ხოლო გოგონას შეძენისას – ფლავს.







## „უბაში ამოძრენა“

აქარის ეთნოგრაფიულმა ყოფამ მოკვდინება-აღდგომის და ხელახლა დაბადების გათამაშების ჩვეულებაც შემოინახა. აქარულ ოჯახებში, ბავშვების ხშირი სიკვდილიანობის შემთხვევაში, ახალშობილი გაჩნდებოდა თუ არა, ბედნიერ მრავალშვილიან დედასთან მიჰყავდათ. ხელახლა დაბადების ნიშნად, ქალი ბავშვს ფართო პერანგში ამოიტარებდა - "უბეში ამოიძრენდა". რიტუალის შემდეგ, ახალშობილს სახელსაც უცვლიდნენ. ზოგჯერ ბავშვის წონის თევზს ჩაფლავდნენ მიწაში, რაც ახალშობილის სიცოცხლის მსხვერპლით ჩანაცვლების სიმბოლო იყო. ხალხური რწმენით, ასეთი სიმბოლური „მოკვდინება-აღდგომის“ შემდეგ, ბავშვის სიცოცხლეს აღარანაირი საფრთხე აღარ ემუქრებოდა.



## მომავალი საქმიანობის განსაზღვრა

ძველად აქარაში ბავშვის ბედის და მისი მომავალი საქმიანობის განმსაზღვრელი რამდენიმე ხერხი ჰქონდათ შემუშავებული. პატარა ენას ამოიდგამდა თუ არა, მისთვის სხვადასხვა საქონლის (თხის, ძროხის, ცხვრის) ბეწვი მოჰქონდათ და ერთ-ერთის ამორჩევას სთხოვდნენ. მათი რწმენით, ბავშვი რომელი საქონლის ბეწვსაც მოჰკიდებდა ხელს - ძროხას, ცხვარს თუ თხას, შემდგომში იმის მოშენებაში ექნებოდა ბედი. ამის გარდა, სხვადასხვა სამეურნეო იარაღსაც დაუწყობდნენ ხოლმე და თვლიდნენ, რომელსაც ახლა აირჩევდა, მომავალშიც იმ საქმიანობას მოჰკიდებდა ხელს. ბავშვის ცხოვრების გზის არჩევას არა მხოლოდ მკითხაობით ან მის მიერ რომელიმე ნივთის არჩევით განსაზღვრავდნენ, არამედ ე.წ. „პირველი დღის“ მაგიითაც. პირველ კბილს, პირველად შეკრეჭილ თმას თუ მოქრილ ფრჩხილს სამჭედლოში, ყანაში, ახორში ან სხვა სამეურნეო ნაგებობის საძირკველში დამალავდნენ, რომ ბავშვის მომავალი ამ საქმიანობასთან ყოფილიყო დაკავშირებული.








## "მანიდში მიღება"

სამეურნეო საქმიანობაში ბიჭების ჩაბმას მამა ხელმძღვანელობდა. მათ ბავშვობიდან აჩვევდნენ საქონლის მწყემსვას. კერ თხებს და ცხვრებს ანდობდნენ, შემდეგ ხბორებს, ბოლოს კი - საქონელს. ზაფხულში მემთევრებს ბავშვებიც მიჰყავდათ მთაზე, სადაც საქონლის მოვლისა და მომწყემსვის პროცესში რთავდნენ. რძის პროდუქტების გასაღებაშიც ეხმარებოდნენ ბიჭები უფროსებს, თოხნაშიც იღებდნენ მონაწილეობას - შესაფერისი ზომის თოხებს დააჭერინებდნენ და ამუშავებდნენ. თუმცა, სამიწათმოქმედო სამუშაოებში უფროსებთან ერთად მოზარდის ჩართვა ოფიციალურად ნადის დროს ხდებოდა. ვაუი რომ 16-17 წლის გახდებოდა, "ნადში დაპატიჟებდნენ", გვერდში ამოიყენებდნენ და ამუშავებდნენ, საღამოს სუფრაზეც გვერდით მოისვამდნენ მონადეები და განსაკუთრებულად დალოცავდნენ. ამას "მანიდში მიღებას" ეძახდნენ. ამის შემდეგ მოზარდი ახალ საფეხურზე გადადიოდა და გვარის, თემის მამაკაცთა საზოგადოების სრულფასოვანი წევრი ხდებოდა.







## გოგონების აღზრდის ტრადიციები

გოგონების საქმიანობაზე ოჯახის ქალები - დედა, ბებიები, მამიდა-ბიცოლები ზრუნავდნენ. ისინი მონაწილეობდნენ რძის პროდუქტების გადამუშავებაში, ჭურჭლის დარეცხვაში, სახლისა და ეზო-კარის დასუფთავებაში. გოგონები ხშირად მემთევრებადაც მიჰყავდათ. ბავშვებს 6-7 წლიდან აჩვევდნენ ქსოვას, კერვას და ქარგვას. მათ ჰყო მარტივი ქარგვიდან აწყებინებდნენ, შემდეგ კი ორნამენტების კეთებასაც ასწავლიდნენ. სოციალურ სტატუსში გოგონას ახალ საფეხურზე ასვლა განსაკუთრებული წეს-ჩვეულებით აღინიშნებოდა: მას თავზე თიხის კეცს ან ჭურჭლის ნატეხს დაადებდნენ და ზედ მის მიერ მოქსოვილ პატარა ნაჭერს დააწვავდნენ. ითვლებოდა, რომ ამის შემდეგ ის რთვა-ქსოვას შეიყვარებდა და სრულყოფილად დაეუფლებოდა ამ საქმეს.



❖❖❖❖❖ საღერი მჩალიშილი და რიფუალები აქარაში





## ბრძნილობები და აკრძალვები

აჭარული ყოფა-ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში გვხვდება გარკვეული მოქმედებების აკრძალვის წვეულებები, რომელთა მიზეზებიც მივიწყებულია და მხოლოდ იმიტომ იცავენ, რომ ერთი თაობიდან მეორეს ტრადიციით გადაეცემა და „ძველებიდან ასე მოდის“. ამის მიუხედავად, მათ დარღვევას „იბრძნიან“ - ერიდებიან, კრძალავენ, რადგან, სწამთ, რომ ამ შემთხვევაში, საფრთხე შეექმნება ადამიანის ჭანმრთელობას, სიცოცხლეს და საქმიანობას. თაობების მიერ მრავალი დამცავი საშუალებაა შემუშავებული ქცევის ამ ნორმების დასაცავად.



## საქორწინო აღკვეთები

აჭარაში ქორწინების სხვადასხვა მომენტთან დაკავშირებული მრავალ-გვარი აღკვეთა არსებობდა. დედოფლის მორთვაში იბრძნიდნენ ქვრივი ან შინაბერა ქალის მონანილეობას. ამ საქმეში მხოლოდ ქმარშვილიან, ბედნიერ ქალებს რთავდნენ. აჭარაში საქორწინო ტანსაცმელზე ნასკვების გამოყენება ცუდ ნიშნად იყო მიჩნეული, ამიტომაც, დედოფლის ჩასაცმელზე ყველა ნასკვს ხსნიდნენ, რათა მისი ცხოვრება არ ყოფილიყო შებოჭილი - „ჩაკეტილი“. ასევე, ბედის, ცხოვრების „ჩამკეტ“ მოქმედებად ითვლებოდა ნეფე-დედოფლის გასავლელ გზაზე დანის ქარქაშში ჩაგება, ბოქლომის გასაღებით ჩაკეტვა, ძაფების, თოკის ან ნაჭრების განასკვა და სხვ. სწორედ ამ ბრძნილობის გამო, ნეფე-დედოფლალი წინასწარ უცნობი, მიხვეულ-მოხვეული გზით მიჰყავდათ; ხალხის ორ რიგს თუ ორ წყალშუა არ გაატარებდნენ. ასევე, იბრძნიდნენ ახალი პატარძლების ერთმანეთთან შეხვედრასაც. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შეხვედრა მაინც შედგებოდა, ორივე დედოფლალს საცერტი გაახედებდნენ. ამავე მიზეზით, აკრძალული იყო ერთ ოჯახში ერთდროულად ორი წყალის ქორწილი. ერთ უბანში, ორმოცი დღის განმავლობაში ორი ქორწილის გამართვასაც ერიდებოდნენ. თუ ეს მაინც აუცილებელი იყო, თვალდასუტულ დედოფლებს ნემსებს გააცვლევინებდნენ ან წყალს ერთი თევზიდან დაალევინებდნენ.



საღერი მრავილი და რეზულტატური აქარაში





## განრიდება

საქორწინო აღკვეთებში შედიოდა პატარძლის განრიდების, „დამუნჯების“, უმძრახად ყოფნის ჩვეულება, რაც უფროსებისადმი პატივისცემის ერთგვარ გამოხატულებას წარმოადგენდა. უმძრახობის წეს-ჩვეულება, პირველ ყოვლისა, ოჯახში ახლად შემოსული რძლისა და მამამთილის ურთიერთ-დამოკიდებულებას ეხებოდა. პირველი შვილის გაჩენამდე, ისინი ერთმანეთს არც კი ეკონტაქტებოდნენ. თუკი რძალი და მამამთილი ოთახში ერთად იმყოფებოდნენ, რძალი ზურგშექცევით ვერ გავიდოდა, აუცილებ-ლად უკანსვლით ტოვებდა იქაურობას. რძლები განრიდების ჩვეულებას იცავდნენ არა მხოლოდ მამამთილის, არამედ ქმრის ბიძებისა და მაზლების მიმართაც. უფრო მეტიც, ცოლ-ქმარიც არ მიმართავდა ერთმანეთს სახელით და ხშირად შვილების მეშვეობით კონტაქტობდნენ ან მესამე პირში ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. განრიდების წესი დედამთილთან და უფროს რძლებთან ურთიერთობაშიც დაცული იყო, მაგრამ ნაკლებად შეზღუდული ფორმით და მხოლოდ იქამდე, სანამ რძალი დედა გახდებოდა. ეს ტაბუ მხოლოდ იმ შემთხვევაში დაირღვეოდა, თუ რძლებთან დალაპარაკების სურვილს თავად უფროსები გამოიჩინდნენ. მამამთილები ამას აკეთებდნენ რძლისთვის საჩუქრის მირთმევითა და უმძრახობის დარღვევის თხოვნით.







## ორსულობა – შვილიერებასთან დაკავშირებული აკრძალვები

ორსულობასა და მის შემდგომ პერიოდში, გარდა იმისა, რომ ქალს ყოველგვარ უსიამოვნებასა და მღელვარებას არიდებდნენ, მისთვის მთელი რიგი აღკვეთებიც მოქმედებდა. ორსული ქალი ერიდებოდა მიცვალებულის შეხედვას და ახლობლის გარდაცვალების შემთხვევაშიც კი არ იცმევდა ძაძებს, რადგან, მიაჩნდათ, რომ შავი ფერი ნაყოფს თრგუნავდა და ბავშვი შეიძლება ნერვიული დაბადებულიყო. ორსულს, ასევე, ეკრძალებოდა გარკვეული სახის საკვების, განსაკუთრებით, ნანადირევის ან თაფლის ქამა. იბრძნიდნენ, აგრეთვე, ორსულის დასწრებას პირუტყვის ან ფრინველის დაკვლააზე. ბევრი აკრძალვა უკავშირდებოდა მოლოგინებასა და ახალშობილის მოვლას. ახალშობილის ნაბან წყალს ღამით გარეთ არ გადაასხამდნენ. იბრძნიდნენ ნაბანი წყლის დასხმას ისეთ ადგილზეც, სადაც შეიძლებოდა ფეხი დაედგათ. დედას რძე თუ დაეღვრებოდა, მასზე ფეხის დადგმაც აკრძალული იყო. ბავშვის მოქრილ ფრჩხილებსა და თმასაც განსაკუთრებული სიფრთხილით ეპყრობოდნენ. არ შეიძლებოდა მათი ცეცხლში დაწვა ან უმეთვალყურეოდ გადაგდება, მიაჩნდათ, რომ ასეთ შემთხვევაში, მათ ბოროტი ძალა დაეპატრონებოდა და ბავშვს ზიანს მოუტანდა. სწორედ ამიტომ, ახალშობილის პირველად მოქრილ თმასა და ფრჩხილებს ახალგაზრდა ხეზე შემოდებდნენ ხოლმე. ღამით ახალშობილის სარეცხის გარეთ დატოვებაც ცუდის ნიშანი იყო და გარედან შემოსულსაც ბავშვს მანამ არ აჩვენებდნენ, სანამ ღია ცეცხლზე არ “მოატარებდნენ”. თვლიდნენ, რომ ახალმოსული ცეცხლით “განინმინდებოდა”, მოიცილებდა ბოროტ ძალებს, “უუმურს” და უსაფრთხო გახდებოდა ბავშვისთვის. იბრძნიდნენ ბავშვის კეფააზე კოცნას, რათა მისი ჭანმრთელობა და სილამაზე “უკან არ წასულიყო”.








## თვალის წაკვრა

აღკვეთის ჩვეულებები განკუთვნილი იყო როგორც ადამიანის, ისე შინაური ფრინველებისა და საქონლის დასაცავადაც. განსაკუთრებულად უფრთხოდნენ გათვალვას, თვალის წაკვრას; ყოველთვის ერიდებოდნენ თვალკვეთარა, ავი თვალის მქონე ადამიანს, გარკვეულ მოქმედებებს კი ტაბუ ჰქონდა დადებული. აქედან წარმოიშვა მესაქონლეობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ისეთი აკრძალვა, როგორიცაა: “საქონლის ბეწვისგან გაკეთებული ბურთით თამაში არ შეიძლება, “საქონელი დავარდებაო”, “რე რომ ძირში დაგექცევა, ფეხი არ უნდა დაადგა, ძროხა დაშრებაო” და სხვ. იბრძნიდნენ, აგრეთვე, რძის პროდუქტებზე უცხო თვალის “წაკვრას”, საძროხეში თუ ახორში უცხო პირის შესვლას, რადგან ეს “ცუდი ფერხობის”, “გლახობის” მომასწავებელი იყო. ამიტომ, “ყურუთს რომ აკეთებენ, კარს ჩაიკეტავენ, რომ ვინმე არ შემემესწროსო, თვალის საცემია და არ წაკრასო”. ძროხის ნაწველის გაცემას ორმოც დღემდე ერიდებოდნენ, რათა მას “ხელი არ გადაყოლოდა” და ძროხას წველა არ შეეწყვიტა. ამავე მიზეზით, გაყიდული რძის, ყველის ან ნადულის მცირე ნაწილს “ხელის მოსაბრუნებლად” იტოვებდნენ. თვალის წაკვრის საწინააღმდეგოდ, სახლის, ახორის, საქათმის კარებზე წრიულ საგნებს, ეკლიან ან წითელ ტოტებს, ჭამ-ეკალას და სხვადასხვა ამულეტს ჰკიდებდნენ.



საღერი მრავილი და რეზულები აქარაში





## მიწის სამუშაოთა აკრძალვის ჩვეულება

აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, ფეხმოკი-დებულია გარკვეულ დღეებში მიწის სამუშაოთა აკრძალვის ჩვეულება. ეს ტრადიცია მოსავლის დასაცავად იყო განკუთვნილი და “ნაკრძალი დღეების” ანუ “აღკვეთილი დღეების” სახელითაა ცნობილი. ასეთი ნაკრძალი დღეები, რომლებიც, ძირითადად, ამინდს უკავშირდებოდა, აჭარაში იყო კვირკობა//ჩურუგაი და ელიობა//ბახურა.



### კვირკობა//ჩურუგაი

კვირკობა//ჩურუგაი - მიწაზე მუშაობის აღკვეთის ტრადიციაა. ამ დღეებში ავდრის, სეტყვის, დელგმისა თუ ღვარცოფების თავიდან ასაცილებლად, თოხს, ცულს, სახნისს, ჰილობას სახნავ მიწაზე არ გაატარებდნენ, დაჭე-დილ ხარებსაც კი არ გაიყვანდნენ, რათა ნიაღვარს ყანები არ წაელეკა. აკრძალული იყო არა მხოლოდ საკუთარ მიწაზე მუშაობა, არამედ, ზოგადად, მიწის “შეწუხება”. ასეთ დღეებში “შიშაც არ უნდა დაპო, სხვის ყანაშიც არ უნდა გეიარო, მიწა გეიკაწრება და ცოდვათ დაგედობაო”. თუ ვინმე ამ აკრძალვას დაარღვევდა, უქმის გამტებს შესაწირავი უნდა გაეღო საკლავის სახით. ნაკრძალ დღეებში ბოსტანშიც კი არ ჩადიოდნენ მწვანილის “შესატეხად”, ნათესების დაღუპვა რომ არ გამოეწვიათ. თუმცა, ხალხური ყოფა გამონაკლისსაც უშვებდა. აუცილებლობის შემთხვევაში, თუ მინდორში სპილენძის ნაჭერს ან სხვა რკინეულობას გაიტანდნენ, მუშაობა ნებადართული იყო.



### ელიობა//ბახურა

ელიობა//ბახურაც - სტიქიის გამგებელი ძალების კეთილგანწყობის მოსა-პოვებლად დაწესებული უქმეა. ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში ელია ღრუბელთა ბატონი, სეტყვისა და ქექა-ქუხილის წინამდღოლია. ელიობა დღეს მიწის სამუშაოებიც აკრძალული იყო და ბანაობაც, რადგან, ხალხის რწმენით, ამ დღეებში წყლის სტიქიას წყალში მცხოვ-რები სული - ბახურა განაგებს; წყალში მობანავეს შეიძლება ბახურა შეე-ყაროს და ტანზე „დაპეპლავს”, აჭრელდება, დაბყრის.



საღერი მრავილი და რეზულტატი აქარაში





## მცენარეებთან დაკავშირებული აკრძალვები

მთიანი სოფლები, ტრადიციულად, ბუნებრივ ტერასებზეა გაშენებული, რომლებსაც თავში, როგორც წესი, ტყის ზოლი აკრავს. ასეთ ტყეს აჭარაში საფარ ტყეს, საცავს ან ყორი ტყეს//ყორისაც უწოდებენ. ტყის დაცვა სავალდებულო იყო მთელი სოფლისთვის. განსაკუთრებით სოფლის მახლობელ ფერდობებზე გაშენებულ ტყეებს უფრთხილდებოდნენ. ხეები სათემო-სასოფლო და საგვარეულო საკუთრებად ითვლებოდა. თითოეულ გვარს თავისი ნიშანი – თაჭი ჰქონდა. საშეშედ ბებერ ხეს გამოქრიდნენ, მოზარდი ხის გამოქრა არ შეიძლებოდა. სამასალე ხედ სწორ და ნაკლებად როკიან ხეებს იყენებდნენ. სამშენებლო და სამასალე ხის შერჩევის ხალხური წესები ტყეს განადგურებისგან იცავდა.

აჭარაში განსაკუთრებით მრავალი აკრძალვა მოქმედებდა ხეებთან დაკავშირებით. იბრძნიდნენ ურთხმელის (წითელი ხე) და ალვის ხის გამოყენებას. ლეღვს არ წვავდნენ - ცოდვიანი ხეა და ოჯახს “დააცოდვილებსო” ან “სანამ პერაზე ლეღვის ხის ნაცარია, ავადმყოფობა არ გამოილევაო”. თხემლაზე ამბობდნენ, ლეხტის ხეა და მისი დაწვა ცოდვააო. ხის მოსაჭრელად წასულები, ცულს ქსოვილში ახვევდნენ, რადგან ხალხური რწმენით, ხეები შიშველი ცულის დანახვაზე კანკალს იწყებდნენ და ტიროდნენ. აკრძალული იყო ხის ცულით ან წალდით უმიზნოდ დასერვა და ხის ქერქიდან წვენის გამოდენა, რასაც ხალხი “ხის ცრემლებს”, “ხის ტირილს” უწოდებდა.







## წმინდა ტყევბი


აქარაში წმინდა ტყევბის არსებობაც დასტურდება. ასეთი ტყევები ღვთაების საუფლოდ ჰქონდათ წარმოდგენილი და იქ არათუ ხის მოქრა, ბუნებრივად წაქცეული ხის ან ტოტის გამოტანაც კი არ შეიძლებოდა. ასეთი წმინდა ტყე ყოფილა ქობულეთში, სოფ. ხუცუბანში, თეთროსნის წმინდა გიორგის სატაძრო კომპლექსის ადგილას. ასეთი საკულტო ტყეები ყოფილა სოფელ სამებაში, თეთრულას ნასაყდრალზე, სოფელ ქობულეთში - ინაიშვილების ნასაყდრალზე, სოფელ ჭაბათში - ნოღაიდლების ნასაყდრალზე, სოფელ კოხში - ხუტაძის ნასაყდრალზე. ასეთ ადგილებში შესაწირავებიც კი მოჰქონდათ. ქობულეთში ასეთ ნასაყდრალებთან არსებულ ტყეებში ხშირად არის „ნაბრალევის ქვა“. ეს არის მრგვალი ან ოთხკუთხა ფორმის, საგანგებოდ დამუშავებული ქვა, რომელზეც აწყობდნენ „თავზე შემონარებს“//„ნაბრალევს“ ანუ შესაწირავს: ნამცხვარი, ქათამი, ფული, სანთლის ნაჭრები, ფერადი ძაფები. საუკეთესო შესაწირავად ითვლებოდა თეთრი მამალი და ზოგჯერ, ლითონის ნივთებიც (ნემსი, ლურსმანი, წალდი და ა.შ.)



## გარგნობა

აქარაში იყო გაზაფხულის ერთი დღე, როცა ოჯახში არათუ მსხვილი ხის ან შეშის, არამედ ფიჩხის შეტანაც არ შეიძლებოდა, რადგან, სწამდათ, რომ ამ დღეს გველები მოგზაურობდნენ და ხესთან ერთად შევიდოდნენ სახლში. სწორედ ამიტომაც უწოდებდნენ ამ დღეს, გარგნობასთან ერთად, გველის დღესასწაულსაც, ქობულეთში კი გზობას (ბზობას) ეძახიან. ბზობა უფლის ბზებით, ბაიებით და სხვადასხვა ხის ტოტებით მიგებების დღესასწაულია. თუმცა ქობულეთში დაკარგული აქვს ეს სემანტიკა, სადაც „ბზობა“ „გზობითაა“ შეცვლილი და შემორჩენილია რწმენა, რომ ეს დღესასწაული ხეს, მცენარეს უკავშირდება. სახელწოდება „გარგნობაც“ ხესთანაა კავშირში, რადგან აქარულ დიალექტში გარგანი მსხვილ ჭოხს ნიშნავს.







## მონადირეობა-მეთევზეობის აღკვეთები

მონადირეობა-მეთევზეობა ადამიანის უძველესი საქმიანობა იყო და პირველი აკრძალვებიც სწორედ ამ საქმიანობას უკავშირდება. აქარის სამონადირეო ტრადიციებში ბევრი აღკვეთაა შემონახული, რომლის დაცვა არა მხოლოდ მონადირეს, არამედ მთელ მის ოჯახსაც ევალებოდა. სანადიროდ დილით ადრე მიდიოდნენ. მონადირეს მხოლოდ უშვერი სიტყვების წარმოთქმა კი არა, საერთოდ ხმის ამოღებაც კი ეკრძალებოდა. სანადიროდ წასვლის წინ, სახლიდან უბრად გამოსულ მონადირეს ქალთან, მათ შორის საკუთარ ცოლთანაც კი ყოველგვარი ურთერთობა ეკრძალებოდა. უფრო მეტიც, სანადიროდ მიმავალს, შემთხვევით, რომელიმე ქალი თუ შეხვდებოდა, გზას აღარ აგრძელებდა და უკან ბრუნდებოდა, რადგან ქალი უწმინდურად იყო მიჩნეული და მასთან შეხვედრა მონადირისთვის ხელის მოცარვასთან ასოცირდებოდა.

მრავალგვარი ბრძნილობა და აღკვეთა უკავშირდებოდა მეთევზეობასაც. აქარაში გავრცელებული იყო რწმენა, რომ წყლის სტიქიას წყლის სული განაგებდა. მისი გულის მოსაგებად, მეთევზე ყოველ დაჭერილ მეათე თევზს წყალში აბრუნებდა და ცოცხლად უშვებდა. როგორც თავად ხსნიან, განგებას დაუდგენია ეს წესი და ყველა ვალდებულია, მას დაემორჩილოს. თუმცა ამ ჩვეულებებს საფუძვლად აქარაში გავრცელებული ის ხალხური რწმენა-წარმოდგენაც უნდა ედოს, რომ თევზი ადამიანის წინაპარია – “ადამიანი თევზიდან გაშენებულა”. თევზის სიცოცხლის საწყისად მიჩნევა უნდა ედოს საფუძვლად თევზის გარკვეული ჭიშების ტაბუირებასაც. აქარაში, ზოგან ორაგულის დაჭერა და ქამა იკრძალებოდა. “ყველა თევზი დაიჭირება, გარდა ორაგულისა. ორაგულის დაჭერა ცოდვაა, იქიდან ადამიანი გაშენდა და ამიტომ იგი არ იჭმება” - სწამდათ აქარაში.




საღერი მრავილი და რიცხვები აქარაში





საზოგადოებრივ-საოჯახო  
ყოფასთან დაკავშირებული  
ტრადიციები





ეროვნულ ტრადიციათა შენარჩუნებაში განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა სოფელს, თემსა და ოჯახს. სწორედ ამ ფენომენმა შემოინახა ისტორიულ მეხსიერებაში ასახული უმთავრესი ღირებულებები, მშობლიური ენა, ადათ-წესები, სტუმარ-მასპინძლობასა და ნათესაურ კავშირებზე აგებული ურთიერთობები, წარსულში გავრცელებული რწმენა-წარმოდგენები. საქართველოს სხვა კუთხეებისგან განსხვავებით, სადაც მრავლად იყო საერთო-სათემო, საერთო-სასოფლო დღესასწაულები, აჭარაში ტრადიციების უმრავლესობა საოჯახო რიტუალს წარმოადგენდა და ოჯახში, ეზო-გარემოში, კერასთან სრულდებოდა. ეს ყველაფერი განაპირობა ისლამის მიერ მასიური ტრადიციული დღესასწაულების აკრძალვამ და მათი გაბატონებული იდეოლოგიისგან მოფარებულად შესრულების აუცილებლობამ. თუმცა რამდენიმე საერთო-სახალხო დღესასწაული აჭარაშიც შემორჩა. საოჯახო რიტუალების დანიშნულება ოჯახის სიწმინდის დაცვა, ოჯახის წევრთა ჯანიერება, ხვავისა და ბარაქის უზრუნველყოფა, წინაპართა სულის სამსახური, ასევე, მრავალსაუკუნოვანი ემპირიული გამოცდილების თაობათა შორის გადაცემა იყო.



## საქართველო წეს-ჩვეულებები აჭარაში


წლის უმნიშვნელოვანესი თარიღის - ახალი წლის დღესასწაული, ყოველთვის განსაკუთრებულად საკრალურ პერიოდად აღიქმებოდა, რადგანაც იგი სამყაროს ყოველმხრივ განახლებას მოასწავებდა, თითოეული ადამიანის წინაშე ცხოვრების ახალ ფურცელს შლიდა და მათ უკეთესი მომავლის იმედს უდვივებდა.

აჭარაში ადრიდანვე იქერდნენ თადარიგს ახალი წლის შესახვედრად. აქ სწამდათ, რომ ახალი წლის დამე არამხოლოდ ადამიანებმა და საქონელ-ფრინველმა, საოჯახო ნივთებმაც საკუთარი სახლის ჭერქვეშ უნდა გაატარონ. ამიტომ აჭარლები პირველ რიგში ვალებს ისტუმრებდნენ და განათხოვრებულ ნივთებსაც უკან იბრუნებდნენ. საახალწლო სამზადისის დროს არც მოსთხოვდნენ ვინმეს რამეს და არც მისცემდნენ, რათა „ხელი არ გადაჰყოლოდა“ და ბარაქა ოჯახიდან არ გასულიყო. ახალი წლის დღესასწაულის შესახვედრად, ოჯახის ყველა წევრი ფუძე-სახლში იყრიდა თავს, რადგან ეს, უპირველესად, ოჯახური ზეიმია.

ახალი წელი ყველაზე ხმაურიანი, მნიშვნელოვანი დღესასწაულია, რომელსაც ადამიანებისთვის ხვავი, ბარაქა და ოჯახის კეთილდღეობა მოაქვს. ამიტომაც სულაც არაა გასაკვირი, რომ მას ბევრი რიტუალი უკავშირდება. საახალწლო ზეიმი აჭარაში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა და დღესასწაულთა მთელ ციკლს წარმოადგენდა, რომელშიც ყველა რიტუალს თავისი საკრალური დანიშნულება ჰქონდა.



საქართველოს მუნიციპალიტეტის და რეგიონული აქადემი






## “ცხემლის ჭრა“

აჭარაში საახალწლო ზეიმი რამდენიმე დღის განმავლობაში გრძელდებოდა. ახალი წლის ღამეს ქობულეთში „ცხემლის ჭრის“ რიტუალი სრულდებოდა. ოჯახის უფროსი მამაკაცი ურმით მიდიოდა ტყეში, ხშირტოტებიან რცხილას//ცხემლას შეარჩევდა, მოჭრიდა და სახლში მოჰქონდა. ცხემლის ტოტებს სახლის შესასვლელში, საქათმისა და ბოსლის წინ აწყობდნენ, რომელზეც ახალი წლის დილით უნდა გადაევლოთ ადამიანებს, საქონელს და ფრინველს. საახალწლო ცეცხლის დასანთებადაც ცხემლის მორებს იყენებდნენ. ახალი წლის დილით ოჯახის უფროსი ცხემლის შეშას შეაწყობდა კერაზე, ცეცხლს დაანთებდა, ნაკვერცხლებს გაჩხრეკდა, ნაპერწკლებს ააყრევინებდა და დაილოცებოდა: „რამდენი წინწკალიც ავარდა, იმდენი სიმინდი, პური, ოქრო, საქონელი, ფრინველი, ხვავი და ბარაქაო!“. „ცხემლის ჭრის“ ღამეს სოფელშიც ინთებოდა ცხემლის შეშის-გან კოცონი, რომლის გარშემოც სოფლის მამაკაცები იკრიბებოდნენ და ახალი წლის საგალობელს - „მეკვლეს“ ასრულებდნენ. ახალი წლის ღამეს აჭარულ ოჯახში დანთებულ ცეცხლს განსაკუთრებით უფრთხილდებოდნენ და დიდხანს არ აქრობდნენ, რადგან აქ ცხემლის//რცხილის ხეს საკრალურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ბარაქისა და ნაყოფიერების მომტანად თვლიდნენ. ალბათ ამიტომაც იყო კიდევ ერთი წესი გავრცელებული - თუ აჭარელ კაცს ეზოში რცხილის ხე არ ერგო, ქალს არ მიათხოვებდნენ.








## ალილობა

ქობულეთში გავრცელებული იყო შობის მიხარების რიტუალი - „ალილობა“, რაც კარდაკარ ჩამოვლას და მოსახლეობისთვის შობის მილოცვას გულისხმობდა. ახალი წლის საღამოს მომლოცველები ჰგუფებად იკრიბებოდნენ, თითქმის გათენებამდე დადიოდნენ და გალობით ულოცავ-დნენ ოჯახებს ახალი წლის მოსვლას. მასპინძლებიც არ რჩებოდნენ ვალში და ფულით, ტკბილეულით თუ ხილით ასაჩუქრებდნენ მათ. ყველაზე ბოლოს თავიანთ ოჯახებს ულოცავდნენ და მიუმღერებდნენ კიდეც. მეალილოები ზოგჯერ ბოლო მასპინძლის ოჯახში რჩებოდნენ ან სადმე იკრიბებოდნენ და ამ დღეს მხიარულებაში ატარებდნენ. მეალილოეთა ძღვენის გარეშე გაშვება ხალხში ფუძის უბარაქობისა და ზიანის მომტანად ითვლებოდა.







## ცეცხლის შენახვა


აქარელთა რწმენა-წარმოდგენებში ცეცხლს მაგიური ძალა ენიჭებოდა. მას აღიქვამდნენ, როგორც მზის ნაწილს, ღვთიურ ძალას, ოჯახის სიწმინდისა და ერთიანობის მარადიულ სიმბოლოს. ამიტომ კერაში ცეცხლის გაქრობა დიდი უბედურების მანიშნებლად იყო მიჩნეული, განსაკუთრებით კი ნაახალწლევს. ამიტომ დაწოლის წინ ოჯახის უფროსი დიასახლისი ცხემლის შეშისაგან დაყრილ ნაკვერცხლებს “შეახვევდა” - ცეცხლმოკიდებულ მუგუზლებს კერის შუაში შეაქუჩებდა, ზედ ნაღვერდალსა და ნაცარს მიაყრიდა, თან ასე შეულოცავდა:

„ცეცხლო, ელოდე, მელოდე,  
მე მელოდე, მზეს ელოდე,  
მთვარეს ეთაყვანებოდე,  
დილას ადრე ავდგებოდე,  
დონწხაურად დამხვდებოდე“.

ამგვარად “შენახული” ცეცხლი, როგორც სიცოცხლის და სითბოს სიმბოლო, მეორე დილას მზის ამოსვლას გაუმქრალი უნდა შეხვედროდა.



საღერი მრავილი და რიცხვები აქარაში






## ბოსლობა

საახალწლო წეს-ჩვეულებათა უმეტესობა აჭარაში ნაყოფიერების მაგიას უკავშირდებოდა. სწორედ ასეთი, აგრარულ-რელიგიური ხასიათის დღესასწაულია აჭარაში ფრაგმენტების სახით შემორჩენილი „ბოსლობა“. ეს არის რიტუალი, რომელიც ნაყოფიერებისა და ბარაქიანობის გამომწვევი ძალების გაძლიერებას ემსახურებოდა და რომლის დანიშნულებაც იყო ბუნების ძალთა აღორძინება, მიწისა და საქონლის ნაყოფიერების უზრუნველყოფა. „ბოსლობა“ ახალი წლის ღამეს სრულდებოდა: ოჯახის უფროსები - მამაკაცი და ქალი - კერიდან ხმის ამოუღებლად ხსნიდნენ ჰაჭვს, საქონლის სადგომში ჩადიოდნენ, საქონელს სამჯერ შემოუვლიდნენ და განაყოფიერების სიმბოლურ რიტუალს ასრულებდნენ. არსებობდა მეორე ვარიანტიც, როდესაც კაცს საქონლის შემოვლისას მარცვლეულიც უნდა მიმოეფანტა.



საღერი მრავილები და რეზულები აქარაში






## ფრინველის დაძლევა

ხალხური რწმენით, წლის პირველი დღე განსაზღვრავდა მთელი წლის ბედს. სწორედ ამიტომ ამ დროს არაერთი ისეთი რიტუალი სრულდებოდა, რომლის დანიშნულება მომავალი სამეურნეო წლის იღბლიანობის უზრუნველყოფა იყო. აჭარაში ცდილობდნენ ახალ წელს მაძღრისად შეხვედროდნენ, ახალი წლის დილას კი განსაკუთრებით მარტვედ ყოფილიყვნენ, ხელი არაფერში მოსცარვოდათ. ამ მიზნით, ახალი წლის წინა ღამით ბალიშის ქვეშ მჭადის ლუკმასაც ამოიდებდნენ. ოჯახის თითოეული წევრი ცდილობდა გათენებამდე გაღვიძებოდა და შენახული მჭადის ლუკმა მამლის ყივილამდე ან ჩიტის პირველ დაძახილამდე შეეჭამა, რათა ფრინველისაგან "დაძლეული" - დამარცხებული არ დარჩენილიყო და მომავალ წელს იღბალი არ დაეკარგა.







## მეკვლეობა

ძველად კალენდარული ახალი წელი ახალი სამეურნეო წლის დასაწყისსაც ემთხვეოდა. ამ პერიოდის ტრადიციის მიხედვით, ოჯახის პირველი მომლოცველის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა პირველი კვალის გავლება და რიტუალური ხვნა-თესვა იყო. სწორედ ამიტომ ეძახდნენ მეკვლეს. მას შემდეგ, რაც ახალი წლის დღესასწაული 1 იანვარს გადაიტანეს, მეკვლეობამ კვალის გამვლების თავდაპირველი ფუნქცია დაკარგა და მხოლოდ „ფეხბედნიერი“ მომლოცველის ანუ „მეფეხის“ მნიშვნელობით შემორჩია ყოფას.

აქარაში დამკვიდრებული რწმენით, ოჯახის ბედ-იღბალი მეკვლის „ფეხბე“ იყო დამოკიდებული. ამიტომაც დღესასწაულის პირველ მომლოცველად „კაი ფეხის“ ადამიანს ირჩევდნენ, რომლის მეკვლეობაც წინა წლებში კარგად ჰქონდათ დაცდილი. ახალი წლის დილას, მფერხავი ადრიანად, ტკბილეულით ხელდამშვენებული მიდიოდა ოჯახში, კართან პატარა სკამი (ჭორკო) ხვდებოდა, რომელზეც ბრინჯიანი თასი იდო. მფერხავი აიღებდა თასს, დაკდებოდა ჭორკოზე და სამჯერ წაინაცვლებდა წინ - რათა ოჯახის საქმე წინ წასულიყო, შემდეგ ოთახებში ბრინჯს და კანფეტს მოაყრიდა და ხვავს, ბარაქას, სიტკბოს, სიხარულს და ბედნიერებას აბედებდა. მფერხავი დიდი პატივისცემით სარგებლობდა. მთელი დღის განმავლობაში სახლიდან არ უშვებდნენ, რათა ხვავი და ბარაქაც თან არ გაჰყოლოდა.

აქარაში მეკვლედ საქონლის გამოყენების ჩვეულებაც იყო გავრცელებული. ახალი წლის დილას, სახლის ზღურბლზე პირველად ახალმოზარდ ხბოს, ბატკანს ან ცხვარს გადაატარებდნენ და სახლს აფერხვინებდნენ. სწამდათ, რომ ოთხფეხი კარგი ფეხის, სიუხვის და სიმრავლის მომტანი იქნებოდა.



საღერი მრავილები და რეზულები აქარაში





## ქათმის ფერხვა

ქობულეთში ახალი წლის მილოცვა-მეკვლეობა და ხვავისა და ბარაქის დაბედება არა მხოლოდ ადამიანებისთვის, საქონელ-ფრინველისთვისაც მიღებული იყო. ქობულეთის საახალწლო დღესასწაულების ციკლში, 1 იანვარს ახალი წლის ტრადიციულად შეხვედრასთან ერთად, 2 და 3 იანვარს ქათმის და საქონლის ფერხვაც აღინიშნებოდა. 2 იანვარს ქათმის ფერხვა იმართებოდა. ამ დღეს, დილით ადრე, ოჭახის ერთ-ერთი წევრი ქალი ან სპეციალურად ამ დღისათვის მოწვეული მფერხხავი ქალი საქათმის კართან, საკენკით ხელში მიდიოდა, ქათმებს კარს უდებდა და დალოცავდა:

“ჰიქი, ჰიქი დედალაო,  
ჰიქი, ჰიქი მამალაო,  
ასი მამალ, ასი დედალ,  
ასი მისი მოჩხოროზი.  
ზეით მია ნეფერები,  
ქვეით დადიანებიო,  
ყველა ამას გეხვეწებით,  
შორეთ ნუ დეიარებიო.  
ტყეში სურო, ზღვაში ქვიშა,  
ღმერთო, იმდენი ამრავლეო”.

მფერხხავი ქალი ამ სიტყვებზე საკენკის კოთხოს თავზე იმხობდა, რაც იმის გარანტი უნდა ყოფილიყო, რომ წინილების უმრავლესობა ვარიები იქნებოდა. კაცის მოსვლას კი ერიდებოდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ ამ შემთხვევაში, წინილებში ბევრი ყვინჩილა გამოერეოდა. გარდა ამისა, ხალხური რწმენის მიხედვით, ამ დღეს ქობულეთში ბევრი აკრძალვა მოქმედებდა: სახლში “ფინჩხი არ უნდა დავარდნილიყო, ქათამი კვერცხს გააწარწალებს, ყოლიფერ ადგილზე დადებსო”; მფერხხავი ან ოჭახის უფროსი დიასახლისი ქათამს თავზე საცერს ჩამოაცმებდა - “კოკოტაი ქათმები გამუაო”; იბრძნიდნენ ამ დღეს მაკრატლის, დანის, ნემსის ხმარებას - “ქათამი ნისკარტს დააცილებს ერთმანეთსო”; ცულს არ იხმარდნენ - “ხმაი აქ და ქათამი იკარკალებსო”. ქათმის მფერხხავს რომ დაბალ სკამზე (ჭორკოზე) დასვამდნენ, იმ დღეს იმავე სკამზე სხვისი დაჭდომა აკრძალული იყო. სკამს თოკსაც შემოახვევდნენ -- “კრუხი შორს არ წავაო”; ამ დღეს ოთახის დაგვაც აკრძალული იყო - “ქათამი ყველაფერს დაჭეჭყავს ბოსტანშიო”.



საღერი მრავილი და რეზულტატი აქარაში






## საქონლის ფერხვა

საქონლისთვისაც იყო სპეციალური მფერხაობის დღე. “საქონლის ფერხვა” ქობულეთში 3 იანვარს აღინიშნებოდა. ფერხობისთვის ოჯახის თავკაცს ან “კარგად დაცდილ” პირს არჩევდნენ, რომელიც დილით, ხმის ამოუღებლად შედიოდა ახორში, ჭერ დაილოცებოდა: “გამრავლდეს, ბერექეთი იყოსო!”, შემდეგ სიმინდს და ბრინჯს მოაბნევდა ბარაქისა და საქონლის სიმრავლისთვის, ბოლოს კი საქონელს მიხედავდა: წყალს ასმევდა, ბალახს დაუყრიდა და სიმინდს აჭმევდა. ამ დღეს პირუტყვს ზურგზე ხელს არ გადაუსვამდნენ – ბუზი და მატლი გაუჩნდებაო.

საქონლის სიმრავლისა და სიჭანსაღისთვის განკუთვნილი რიტუალები ზემო აჭარაში ახალ წელს სრულდებოდა. აქ გავრცელებული იყო ახალი წლის დილას საქონლის წყალზე გაყვანის ჩვეულება. აჭარელი მესაქონლე, წლის პირველ დღეს, გამთენისას, საქონელს სადგომიდან უშვებდა და წყაროსკენ ან მდინარისკენ მიერეკებოდა წყლის დასაღევად. ყველა ცდილობდა, რაც შეიძლება ადრიანად შეესრულებინა ეს წესი, რადგან მიაჩნდათ, რომ ახალი წლის დადგომისას, საქონლის თუნდაც ახლოს მიყვანა წყალთან და „პირის დასველება“ ხელს უწყობდა საქონლის სიჭანსაღესა და გამრავლებას.



საქართველოს მუნიციპალიტეტის და რეგიონული აქადემი






## ნადი

„მარტოკაცი ჭამაშიაც ბრალიაო“ და აბა, აქარაში შრომისას ვინ დატოვებდა მარტო გლეხვაცს?! ხვნა-თესვა იყო თუ მოსავლის აღება, ტყის გაკაფვა თუ თივის დამზადება - აქარის სოფლებში მცხოვრებლები მუდამ მხარში ედგნენ ერთმანეთს. აქარელ გლეხს სამუშაო რომ მოეძალებოდა, ან თავად გადასძახებდა მეზობელს, მოკეთეს, ნათესავს და მოყვარეს ან რომელიმე ახლობელს გააგზავნიდა და ნადში იწვევდა, შეკრებდა, დახმარებას სთხოვდა. ერთ დაძახებაზე შეიკრიბებოდნენ მოწვეულები და ყოველგვარი საზღაურის გარეშე დაუდგებოდნენ მხარში ნადის მწვეველს. ქვრივის და ობლის დასახმარებლად ხომ დაძახებაც არ სჭირდებოდათ! თავისით დაადგენდნენ რიგს და თხოვნის გარეშეც ეხმარებოდნენ შეჭირვებულ ოჯახს. ის კი არა, საკუთარ ყანაში თუ ადრე მორჩებოდა შრომას მასპინძელი, მეზობლის მამულში გადაინაცვლებდა თავის ნადთან ერთად და ახლა მეზობელსაც წაუკრავდა ხელს!

დილით, ადრიანად, ნადზე წვეულები ყანაში შეუდგებოდნენ ხოლმე მუშაობას, დიასახლისები კი - სახლში, რათა მათთვის შესაფერისი სადილი მიერთმიათ. მიუხედავად დამღლელი შრომისა, ნადი მაინც მხიარულად, ნადური სიმღერების თანხლებით მიმდინარეობდა. განსაკუთრებით ქობულეთური ოთხხმიანი ნადურები იყო ცნობილი. მონადეები ორ ჰგუფად იყოფოდნენ და ერთმანეთს არა მხოლოდ შრომაში, ნადურ სიმღერებშიც ეჭიბრებოდნენ. ნადის შრომა რომ წაეხალისებინა, მასპინძელი ზოგჯერ სპეციალურად იწვევდა კარგ მომღერლებს. აქარისწყლის ხეობაში მომღერლებთან ერთად მესაკრავებსაც იწვევდნენ ხოლმე და ჭიბონის რიტუალი ჰანგებით აფხიზლებდნენ მონადეებს. ხულოში, ნადის დამთავრების შემდეგ, სპეციალური რიტუალიც ტარდებოდა: თოხის ტარს რამდენიმე კაცი თავსა და ბოლოში მოჰკიდებდა ხელს, ზედ მასპინძელს შესვამდა და ასე მიჰყავდათ სახლში შეძახილით: „ყანის პატრონო, ყანა გიკეთდესო!“, თან „მგზავრულსაც“ შემოსძახებდნენ. ყველაზე სასიამოვნო მაინც ნადის ბოლო აკორდი - ვახშამი იყო! დიასახლისები თავს არ ზოგავდნენ და საუკეთესო ვახშამს უმზადებდნენ მოწვეულ დამხმარეებს. გემრიელ სუფრას თან ცეკვა-სიმღერა თუ გართობა-თამაშებიც ახლდა და ნადის ვახშამი ხშირად მამლის ყივილამდეც გრძელდებოდა.

სამხეური მრავილიღი და რიცხვაღი აქარაში





## ნარმო და ნახსი დღეები

აქარაში გავრცელებული იყო შეხედულებები ხელსაყრელი - წარმო//წაღ-მართი და არახელსაყრელი - უკმო//ნახსი დღეების შესახებ. სამუშაოს აუცი-ლებლად წარმო//წაღმართ დღეს იწყებდნენ. უკმო//ნახს დღეებში რაიმეს გა-კეთებას ერიდებოდნენ. წარმო დღეებად ითვლებოდა სამშაბათი, ხუთშაბა-თი, შაბათი და კვირა. ორშაბათი-ოთხშაბათი ნახსი დღეები იყო ორფეხისა და ოთხფეხისთვის, ამიტომაც ამ დღეებში არც გზას დაადგებოდნენ, არც ფრინველსა და საქონელს გაჰყიდდნენ, არც რძის პროდუქტსა და კვერცხს გასცემდნენ. განსაკუთრებით „ხვავრიელ“ დღეებად ითვლებოდა სამშაბა-თი და ხუთშაბათი. ხალხური რწმენით, „სამი და ხუთი შაბათია ერთად მოყ-რილი და მოსავალიც ხვავრიელი იქნებაო“. თუმცა, ყველგან როდი იცავ-დნენ დღეების შერჩევის ამ პრინციპს. ზოგან სამუშაოს იწყებდნენ იმ დღეს, რომელიც ამა თუ იმ ოჯახს ან მეურნეს კარგად ჰქონდა „დაცდილი“ ან წინა-პრებისაგან - „ძველებისაგან“ ნაანდერძევი. ეს იყო „დაცდა“ ანუ გამოცდი-ლებაზე დამყარებული ცოდნა, რომლის საფუძველზეც „ურჩევდნენ დღეს“. კვირა უნაკლო დღედ ითვლებოდა, რადგან, როგორც ამბობდნენ, „ეს ქვე-ყანა პირველში იყო ქაფი, მერე ოქრო გახდა, მერე - ვერცხლი, მერე - სპი-ლენძი, მერე გახდა შავი მიწა. კვირა დღეს დაარსდა მიწა, ქვეყანა, ამიტომ კვირა დღეს გევყვანდით ხარს პირველადო“.



## ხისეს//არჩივის გაღება

ძველად აქარაში გავრცელებული იყო მწერებისა და მღრღნელების გამას-პინძლების, ანუ მათი წილის - ხისეს, არჩივის - წინასწარგაღების ჩვეულება. აქარელი გლეხი, თესვას შეუდგებოდა თუ არა, მოსავალზე ზრუნვასაც მაშინვე იწყებდა. ამიტომაც თესლის მობნევისას, ყოველგვარი მავნებლის წილსაც ითვალისწინებდა. ამას აქარაში „ხისეს“ ანუ „არჩივის გაღებას“ ეძახდნენ. თესვის დაწყებამდე, გლეხი ხნულში მარცვალს მოაბნევდა და თან ილოცებოდა: „ეს ჩიტის ხისე, თაგვის ხისე, ბუზის არჩივი, ორსული ქალის არჩივი, ორფეხის წილი, ოთხფეხის წილიო“. სწამდათ, რომ მათი წილის წინასწარ გაღებით, მღრღნელებსა თუ ჩიტებს „მოქრთამავდნენ“ და ამგვარად დაიცავდნენ ნათესებსა და მოსავალს მათი შემოტევისაგან.



საქართველოს მუნიციპალიტეტის და რეგიონული აქადემი





## მთვარესთან დაკავშირებული რიტუალები

აქარაში სავსე მთვარეს განსაკუთრებულად ელოდნენ და ცდილობდნენ სავსე ხელით შეხვედროდნენ. როგორც კი ცაზე სავსე მთვარე ამოიწვერებოდა, მონეტას, ტკბილეულს, ოქროს ნივთს "დაანახვებდნენ" და შეულოცავდნენ:

„მთვარე, მოვდა ნებაზე,  
ჩემსა გახარებაზე,  
მთვარევ, რა მოგვიტანე?  
გული მთელი, სული მთელი,  
ხელნაქნარი ხვავრიელი,  
ჩემი ნამზად-ნაკეთები  
ქვეყნის უგემრიელესი“.

სწამდათ, რომ სამაგიეროდ მთვარისგან სისავსეს და ბარაქას მიიღებდნენ. სხვადასხვა საქმიანობის დაწყებასაც მთვარის ფაზებთან აკავშირებდნენ. ხალხის რწმენით, მიწის სამუშაოების დაწყება მიღებული იყო ძველ მთვარეზე. ასევე, ძველ მთვარეზევე იცოდნენ დათესვა და დარგვა, რადგან სწამდათ, რომ ახალ მთვარეზე დათესილი ნაყოფი მწარე, წალტე იქნებოდა და მალე „დაჩიჩავდა“ (დაჭიანდებოდა). ხალხის დაკვირვებით, მიწის სამუშაოების დაწყებამდე, მთვარეს ერთი ხუთშაბათი უნდა ჰქონოდა გავლილი. „თვარის წყვეტაზე“ (მთვარის მიღევა და ახალზე გადასვლა) ლობიოს არ დარგავდნენ - „ხაშარზე არ ავაო“. ხაპს, კვახსაც „ხუთშაბათგავლილ“ მთვარეზე დათესავდნენ, რომ მთვარესავით გავსებულიყო. თან მიწაზე დაგორდებოდნენ და ღმერთს შეევედრებოდნენ: „ღმერთო, ჩემი სიმძიმეო!“. მთვარის მდგომარეობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მოსავლის აღების დაწყებისას. სიმინდის აღება ძველ მთვარეზე იცოდნენ. ახალ მთვარეზე არც თესლს შეინახავდნენ, რადგან სწამდათ, რომ ამ დროს აღებულ სიმინდს და ბოსტნეულს „დაჩიჩავდა“, „დარკილავდა“. საერთოდ, მოსავლის აღებისათვის ხელსაყრელად ითვლებოდა არა ახალი, „ჩვილი მთვარე“, არამედ „დავახშმებული“, ე.ი. ერთ ხუთშაბათ გავლილი მთვარე. გადმოცემით, სიმინდს, ბოსტნეულს, ხაპს „შესანახად“ „მთვარე რომ გეივსება“ მაშინ იღებდნენ, რათა ყველაფერი სავსე გულიანი ყოფილიყო. ახალშობილსაც ძველ მთვარეზე ჩააწვენდნენ ხოლმე აკვანში (ერთი ხუთშაბათი რომ ექნებოდა გავლილი), „მთვარესავით გეიზდება და მაგარი იქნებაო“.






## სახლის საძირკვლის ჩაყრა

აქარაში სახლის ასაშენებელ ადგილს განსაკუთრებული ყურადღებით არჩევდნენ. გარდა იმისა, რომ სამოსახლო ადგილი მზიან, ნაყოფიერ, წყალთან და გზასთან ახლომდებარე ნაკვეთზე უნდა ყოფილიყო, აგრეთვე, დიდ ყურადღებას აქცევდნენ იმასაც, რომ ეს არ ყოფილიყო „ნაბედვარი“ (ნაწყევარი) ან გადაშენებული ოფახის ნამოსახლარი ტერიტორია. საძირკვლის ჩასაყრელ ადგილას, მიწას წინასწარ თხრიდნენ ხოლმე და შიგ მოზრდილ ქვას დებდნენ. 2-3 დღის შემდეგ ქვას იღებდნენ და თუ მის ქვეშ ჭიაყელა იყო გაჩენილი, იმ ადგილას სახლს აღარ აშენებდნენ - ნესტიანი ადგილი იქნებაო. ჭიანჭველის გაჩენა კარგ ნიშნად ითვლებოდა. ახალი სახლის მშენებლობის დროს, სახლის მარჯვენა საძირკველში პურის კაპლის, საქონლის ბეწვის, შაქრისა და ხურდა ფულის ჩატანების ჩვეულებაც იყო გავრცელებული. სკეროდათ, რომ საძირკვლის ქვა მხოლოდ ამის შემდეგ “იცნობდა თავის ადგილს” და შესაძლებელი იყო სახლის მშენებლობის დაწყება. ზოგან, განსაკუთრებით ქვემო ქობულეთში, ცოცხალი შესაწირავის (შინაური ფრინველი, წვრილფეხა თუ მსხვილფეხა საქონელი) გაღება და ბალავარში მისი სისხლის ჩასმაც სცოდნიათ.







## ბაირალის აღმართვა

სახლის აშენება ყველგან საზეიმო და მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, მაგრამ აქარაში მშენებლობის დასრულებას განსაკუთრებული რიტუალით აღნიშნავდნენ, რასაც სახლის მოყავრას ანუ გადახურვას უწოდებდნენ. სამუშაოების დასრულების შემდეგ, მთავარი ოსტატი ანუ უსტა სახლის სახურავის მთავარ ბოძზე ბაირალს - დიდი ზომის ფერად, უმეტესად წითელ ქსოვილს გადმოჰკიდებდა, რაც მშენებლობის დასასრულის და სახლის პატრონებისთვის სიცოცხლის და სიხარულის დაბედების ერთგვარ სიმბოლოს წარმოადგენდა. ამ რიტუალში მონაწილეობისთვის მეზობლები და ნათესავებიც იყვნენ მოწვეულები. მათ საჩუქრები მოჰქონდათ და ბაირალთან აწყობდნენ. ბოლოს სტუმრებისთვის საზეიმო პურობა იმართებოდა, რომლის დასრულების შემდეგ, ბაირალს ჩამოხსნიდნენ და ოსტატებს გასამრჯელოსთან ერთად გადასცემდნენ.



საღერი მრავილები და რეზულები აქარაში





## გველის პულტი

აქარის ტრადიციულ ყოფაში გველის პულტი ამბივალენტურად აღიქმება. ერთი მხრივ, იგი სიკეთის მომტან და ოჯახის კეთილდღეობის მცველად ითვლებოდა, მეორე მხრივ კი, შიშის მომგვრელ და ავის მომასწავებელ არსებად. ამიტომაც მისი ეშინოდათ და ამავდროულად, თაყვანსაც სცემდნენ, როგორც სახლისა და კერის მფარველს. ხალხური რწმენის მიხედვით, მიჩნეულია, რომ ყველა ოჯახს საკუთარი ფუძის გველი ჰყავდა, რომელიც ბედნიერ ფუძეში ცხოვრობდა. ამ მიზეზით, მას დიდი მზრუნველობით ეკიდებოდნენ, რძესაც კი უდგამდნენ ჭამით. „ოჯახის მფარველი“ გველის გაბრაზება და მისი მოკვლა იკრძალებოდა და დიდ ცოდვადაც ითვლებოდა, რადგან, სჭეროდათ, ამას შესაძლოა ოჯახის წევრის დაღუპვა მოჰყოლოდა.



საღერი მრავილები და რიცხვები აჭარაში





## ნადირის დაკოჭვა

აქარის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩა საქართველოსა და მთლიანად კავკასიის მთიელებისთვის კარგად ცნობილი „მგლის უქმის“ რიტუალი, რომელიც აქარაში „ნადირის დაკოჭვის“ სახელწოდებითაა ცნობილი. „ნადირის დაკოჭვის“ რიტუალს ატარებდნენ მაშინ, როცა საქონელი დაიკარგებოდა ან ლამით გარეთ დარჩებოდა. ამ დროს იღებდნენ მაკრატელს, სავარცხელს, დანასა და კლიტეს, ყველაფერს ქამრით კრავდნენ და თან შეულოცავდნენ:

“მგელი მუა მგელოსანი,  
თვალი მუაქ ცეცხლოსანი,  
ღმერთო, ღმერთო გადაჰყარე,  
ცხრა კლიტული კლიტოსანი,  
მგელსა პირი შეუკარი,  
მის მეგობრებს ხელ-ფეხიო”.

აღნიშნული შელოცვის შემდეგ, შეკრულ ნივთებს კერასთან აწყობდნენ და ზედ ქოთანს ამხობდნენ. შეკრული საგნები მხოლოდ მაშინ იხსნებოდა, როცა საქონელი პატრონს უბრუნდებოდა.








## საღმრთოს გადება

საღმრთოს გადების ჩვეულება ქობულეთის მუნიციპალიტეტში იყო გავრცელებული. ეს რიტუალი ოჯახში ხშირი ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის შემთხვევაში ტარდებოდა. თვლიდნენ, რომ ოჯახი რაღაც ცოდვის გამო იყო დაწყევლილი, „გადაცემული“. ოჯახის სიკვდილიანობისგან დასაცავად, ყიდულობდნენ ცხვარს ან თხას, მოიყვანდნენ ხოჭას (გურიის მოსაზღვრე სოფლებში - მღვდელსაც), ცხვარს დაკლავდნენ, ხორცს მოწვეულ სტუმრებს და ოჯახის რძალს აქმევდნენ, ხოლო ძვლებსა და მორჩინილ ნაწილებს მიტკალში ახვევდნენ და მიწაში ფლავდნენ. რიტუალური ტრაპეზის ნარჩენების მიწისთვის სიმბოლური „მიბარება“ მისი შემწირველის დასაცავად ტარდებოდა. ეს იყო მსხვერპლის გადება მიწისთვის, ოჯახის წევრის სიცოცხლის სანაცვლოდ.



სამხეური მრავილიღი და რითუალები აჭარაში





## დატირება

აქარაში ლხენაც ლამაზად იცოდნენ და გლოვაც. „კარგი ტირილი ხალხსაც უხდება და მკვდარსაც“ - ამბობდნენ. მიცვალებულის მოთქმა-მოტირების უნარი დიდად ფასობდა და გლოვისა და დატირების განსაკუთრებული წესებიც კი ჰქონდათ შემუშავებული. მოთქმა-დატირების სამგლოვიარო ტექსტები ხალხური ზეპირსიტყვიერი ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენდა. მოთქმაში ჩამოთვლიდნენ მიცვალებულის დამსახურებებს, მის დადებით თვისებებს, იგონებდნენ ეპიზოდებს მისი ცხოვრებიდან. განსაკუთრებული პატივით სარგებლობდნენ მოტირლები, რომლებსაც დატირებისას, ტექსტების იმპროვიზაციის კარგი უნარი ჰქონდათ. ყველაზე მეტად ოჯახის რძლებს ევალებოდათ დატირება. თითოეული რძალი ცდილობდა თავისი „მოთქმით“ ღირსეული პატივი მიეგო მიცვალებულისთვის. როგორც წესი, მოთქმით ერთი ტიროდა, სხვები კი უსმენდნენ. მოთქმა-დატირებაში ჩარევა არ შეიძლებოდა. ნებადართული იყო მხოლოდ „ტირილის ჩამორთმევა“ - რიგ-რიგობით ტირილი - როცა ერთი დაიღლებოდა და მეორე აგრძელებდა. ზარის შეწყვეტა სირცხვილად ითვლებოდა. თუ მიცვალებულს ახლობლის გარდა სხვა ქალიც დაიტირებდა, წესად ჰქონდათ, ამ დატირების სანაცვლოდ პატივის მიგება - იმ ოჯახის მიცვალებულის სამაგიერო დატირებით. გარდა ამისა, ქობულეთში დამკვიდრებული ჩვეულებით, ოჯახის ქალები მთელი წლის განმავლობაში გამოდიოდნენ ეზოში, გამოჰქონდათ განსვენებულის ტანსაცმელი ან ნივთი და თითო-თითოდ, მოთქმით, მორიგეობით ტიროდნენ. მიცვალებულის დაკრძალვამდე ოჯახში ცეცხლის დანთება არ შეიძლებოდა, ამიტომაც საჭმელს ჭირისუფლისთვის მეზობლები ამზადებდნენ. გამოსვენებისას, ყველა ფეხზე უნდა წამომდგარიყო, ავადმყოფსაც წამოაყენებდნენ, აკვანსაც კი წამოსწევდნენ თავით.







## „მზოღას ონჩვიუში დღა“ (გლვაში ბანაობის დღე)

გასული საუკუნის 20-იან წლებამდე, სართვა და აღმოსავლეთ ლაზეთის ზღვისპირა სოფლებში ფართოდ იყო გავრცელებული ზღვაში მასობრივი ბანაობის ტრადიცია „მზოღას ონჩვიუში დღა“. ეს რიტუალი „მარაშინაშ შქვითში“ (მარიამობის შვიდში) ანუ 20 აგვისტოს იმართებოდა. ლაზი ქალები მასიურად მიდიოდნენ ზღვაზე საბანაოდ, თან სხვადასხვაგვარი ხილი, ახალშემოსული ყურძენი, მოხარშული კვახი მიჰქონდათ და ზღვის ნაპირთან მიირთმევდნენ.

ნიკო მარის მონაცემებით, რომელიც თავადაც შესწრებია ამ დღესასწაულს, ზოგან 24 ივნისს, იოანე ნათლისმცემლის ხსენების დღესაც იმართებოდა ლიტროპ/მიტროპ-ის სახელით ცნობილი მსგავსი დღესასწაული. მკვლევარი ზურაბ თანდილავა მას ბერძნულენოვანი სამყაროსთვის ცნობილ - დანაშაულის გამოსყიდვის, მონანიების, ცოდვისგან განწმენდის აღმნიშვნელ ტერმინად მიიჩნევდა.



საღერი მრავილი და რეზულტატი აქარაში



103



## დადები//დადებობა

აქარაში ძალიან უფრთხოდნენ ავსულებს და მათგან თავდასაცავად არაერთ რიტუალს მიმართავდნენ. ბოროტი სულების წინააღმდეგ მიმართულ დღეობათაგან, უმთავრესი დადები//დადებობა იყო. იგი 1 სექტემბერს (1 ენკენისთვეს) იმართებოდა, რადგან ხალხური რწმენით, ამ დღეს კუდიანობა - ჭაზების დღესასწაული იყო. ისინი მთელ დედამიწაზე დაძრნოდნენ ადამიანებისთვის ზიანის მისაყენებლად. დადებობა ღამეს ყანაში სიმინდს შებეჭდნენ - სიმინდის ფურცლებს ერთმანეთზე სანთლით მიაწებებდნენ, რათა ავ სულებს ჭირნახულის ბარაქა არ გამოელიათ. ეშმაკებისგან დასაცავად, ოჯახის დიასახლისი ბავშვებსაც სანთლის ჭვარს მიაწებებდა ყურის ძირში. სანთლის ჭვარს სახლის შესასვლელშიც მიაკრავდნენ, კარებში უმცროს რძალს დააყენებდნენ და ეტყოდნენ: „რძალო, კარები დაკლიტე, ამაღამ ბაღნებს არაფერი ევნოსო.“ ხალხის რწმენით, „შებეჭდილ“- სანთლის ჭვრით დაცულ სახლში ავი სულები და ქაფები ვერ შევიდოდნენ.




## რწყილის გადალოცვა

აქარაში, მარტის პირველ დღეს, ოჯახის რწყილისგან გაწმენის რიტუალს ატარებდნენ, რასაც ქობულეთში „პწყილის გადალოცვას“, ხულოში კი „პწყილის დაყვერვას“ ეძახდნენ. ქობულეთში, დილით, ადრე, დიასახლისი ხმისამოუღებლად დაიჭერდა სამ რწყილს, ჩაყრიდა ქილაში, ასტამით ნაცარს აიღებდა, გაიტანდა თავისი ეზოს მიქნაზე, გადაყრიდა ეზოს გადაღმა და თან იტყოდა: „მარტი, მარტმეტი, ყოველი თვის მეტი. ჩემსას პწყილი არცერთი, სხვისას ნიჩბით სახვეტი“.

„პწყილის დაყვერვის“ რიტუალი ხულოშიც პირველ მარტს სრულდებოდა: ერთი ადამიანი ცოცხით ხელში ადიოდა სახლის ქერში, მეორე კი ქვემოდან შესძახებდა: - მანდ რას იკებიო? ქერში მყოფი უპასუხებდა: -ია და ვარდსაო. ამას სამჯერ გაიმეორებდნენ. მეოთხედ შეკითხვის შემდეგ ქერში მყოფი გადმოსძახებდა: პწყილს ვყვერავო, ცოცხით გვას აგრძელებდა და გაიძახოდა: „მარტი, მარტი, მარტმეტი, ჩემს სახლში პწყილი არც ერთი, ღელიებში - სახვეტი!“.




საღერი მრავილები და რითუალები აჭარაში





## ჩეჩვის და ხერტლის ნადი

მატყლის დამუშავება და ნართის მიღება რთული, შრომატევადი პროცესია და დიდ დროსაც მოითხოვს. ამ საქმიანობასთან დაკავშირებით, აჭარაში ქალების ნადის მოწვევა სცოდნიათ.. აქ გავრცელებული იყო „მატყლის საჩეჩვის ნადი“ ანუ „ჩეჩვის ნადი“ და „მატყლის სართავში ნადი“ ანუ „ხერტლის ნადი“. მატყლის დამუშავება, ძირითადად, ღამით, სხვა საოჯახო საქმეების დასრულების შემდგომ ხდებოდა. მოიპატიუებდნენ 20-30 მეტობელ თუ ნათესავ ქალს, რომელთაგან ყველას თავისი საჩეჩვი მოჰკონდა, ერთად სხდებოდნენ და მატყლს ჩეჩვი გადასაცავდნენ. ქალები თან შრომობდნენ და თან ერთობოდნენ. დღესაც ბევრს ახსოვს ასეთ ნადში გავრცელებული სასიმღერო ლექსი „ძიღლო, რეიზა გვეძინები“. ეს მელოდიური და ზომიერი ტემპის სიმღერა მონადეებს აფხიზლებდა და მთელი ღამის განმავლობაში უნარჩუნებდა შრომის რიტმს. მოწვეულ ქალებს, ზოგჯერ, წინდანინ ურიგებდნენ რამდენიმე წყვილ მატყლის ქულას, რასაც „ბეს დარიგებას“ უწოდებდნენ. ნადში მონაწილე ყველა ქალს თითო ხერტალი (თითისტარი) ძაფის დართვა მაინც უნდა მოესწრო. თუ მოწვეული ქალები ადრე დარიგებულ მატყლის ქულებს წინდანინ, სახლში, ნადში მოსვლამდე დაართავდნენ, გასართობად მეტი დრო რჩებოდათ. მატყლის ჩეჩვისას, „მატყლი მოჩეჩებულია“ (მიმოფანტულია) და გართობა ძნელია. ჩეჩვის ნადის დროს კი, ქალებს სიმღერა-შაირებითა და ზღაპრების მოყოლით შეეძლოთ თავის გართობა. ხერტლის ნადის დროს უფრო მხიარულობდნენ: უკრავდნენ, მღეროდნენ, სამობდნენ (ცევავდნენ). ამ დღეს განსაკუთრებით ემზადებოდა ის, ვისაც ნადი ჰყავდა მოწვეული. ნადის მონაწილეებისთვის გამასპინძლება - ჰერის მირთმევა იყო საჭირო. მრავალფეროვან სუფრაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო მოხარშული კვახი. მასპინძელი თავს არ იზოგავდა, რომ გულუხვი ყოფილიყო და სირცხვილი არ ეჭამა. თუ სუფრის გაშლა დაგვიანდებოდა, ნადის მონაწილეები მასპინძელს მიუმღერებდნენ და „სერიკუდს“ მოითხოვდნენ, რაც ვახშმის შემდეგ, გვიან ღამით პურისქამას ეწოდება.






## აბრეშუმის ჭიის მოვლა

აქარაში დიდი გამოყენება ჰქონდა შინნაწარმ აბრეშუმს. ძაფს სახლში, აბრეშუმის პარკიდან ახვევდნენ. ადრე დიდი რაოდენებით აბრეშუმის ჭიას უვლიდნენ. ოჯახში, სადაც აბრეშუმის ჭიას აშენებდნენ, მრავალ წესს იცავდნენ: ჭიის სახელს იშვიათად ახსენებდენ მანამ, სანამ “ყაჭი” (აბრეშუმის ჭია) პარკს გააკეთებდა; თუთის შეშასა და ფოთოლს არ დაწვავდენ; თუთის ტოტების მოქრისას, იარაღს (ცულს, წალდს, ნაფას, დანას, მაკრატელს) ხიდან ძირს არ გადმოაგდებდნენ - “ყაჭი ფეხს ვერ მოიკიდებსო” და სხვ.

აბრეშუმის ჭია ნაზი და ხმაურისადმი მგძნობიარეა. ხალხში არსებული რწმენით, ჭიას განსაკუთრებით ჭექა-ქუხილის “ეშინია”. ამ დროს შეიძლება “ყაჭი დაბუკდეს” და ძირს ჩამოცვივდეს. ჭექა-ქუხილის დროს, აბრეშუმის ჭიის სამყოფ სათავსოს დააბნელებდნენ ხოლმე და ჭექა-ქუხილის ხმის გადასაფარად, ლითონის ჭურჭელს ააბრახუნებდნენ, რათა ჭია არ “შეშინებულიყო”. მეაბრეშუმებს განსაკუთრებით აბრეშუმის ჭიის “გათვალვისა” ეშინოდათ; ცდილობდნენ აბრეშუმის ჭიის სამყოფ სათავსოში სხვა, უცხო პირი არ შეეშვათ - “ჭიას თვალი არ ეცესო”. ხალხის თქმით, “ყაჭის ნახვა არ ვარგა, რადგან თვალის ბატონი კაცი არაა!” თუკი ჭიას გარეშე, უცხო პირი დაინახავს, აუცილებლად უნდა დალოცოს: “ჭვარი გიწერია ჩემი თვალიდან, ,ასი ჩემი წონა, ასი ჩემი წონა...” ან “ღმერთო, ჩემი სიმძიმეო”. შენობის კარზე ეკლიანი ხის (ასკილის, აკაციის...) ტოტებს ან რკინის ნივთებს დაჰკიდებდნენ, აბრეშუმის ჭიას კი შეულოცავდნენ.



საღერი მრავილები და რეზულები აქარაში





## ქსოვა

ტრადიციულად, აჭარაში ქსოვა ყველა ქალს უნდა სცოდნოდა. სიმბოლურია, რომ აჭარელ პატარძალს პირველ საქმედ უკვე „დაწყებულ წინდას“ მისცემდნენ მოსაქსოვად. თავად მას კი, წესისამებრ, 50 წყვილზე მეტი წინდა მაინც უნდა ჰქონოდა მზითევში, საქმროს ახლობლებისათვის სასაჩუქრედ. „სანეფო წინდა“ (სასიძოსთვის მისართმევი წინდა) კი სპეციალურად, საქსოვი მასალის, ფერებისა და ორნამენტების - სახეების განსაკუთრებული შერჩევითა და დიდი ოსტატობით იქსოვებოდა. ქსოვა, მით უფრო, ნაქსოვში სახეების გამოყვანა, დიდ დაკვირვებას, მოხერხებულობასა და გემოვნებას მოითხოვს. ამ საქმეში გოგონების წვრთნას ემსახურებოდა მათი ძაფებით თამაშობაც, რომელსაც „აბანდულას“ ან „აბანდიბუნდას“ ეძახიან. თამაშობს ორი გოგონა: კანაფის მოგრძო ძაფს ბოლოებს გამოუნასკვავენ და შეკრულ ძაფს ორივე ხელისგულზე ჩამოიცვამენ, რომელსაც თითებით „ხლიბავენ“ - გრეხენ და თითიდან თითზე გადააქვთ. ძირითადად, ორი თითით - საჩვენებლითა და ცერა თითით გამოჰყავთ გამოსახულებები. თითოეულ მათგანს თავისი სახელი აქვს: ხიდი, წყალაი, მარხილაი, ხარითვალაი, აკვანაი, ხაშარაი (ჭიგო, სარი), ხერხაი, გობაი, ზემბილაი (ნაქსოვი კალათი) და სხვ. ვინც თამაშის პროცესში ახალ ბანდას - გამოსახულებას ვერ „ამოიღებს“, წაგებულია.







## გიარეთობა

აქარაში გავრცელებული იყო ზიარეთის - წმინდა ადგილების მოლოცვის ჩვეულება. ასეთ ადგილებად ითვლებოდა მაღლა მთებში არსებული „შეიდების“, ანუ წმინდა კაცების საფლავები, რომლებსაც, ხალხის რწმენით, დიდი მადლი და სამკურნალო-მაგიური თვისებები გააჩნდა. ხშირად, ზიარეთი ნაეკლესიარ ადგილებზე ან მის ახლომახლოდ იყო. ზიარეთობაზე, ძირითადად, უშვილო ქალები, ავადმყოფი ან გასაჭირში მყოფი ადამიანები მიდიოდნენ მოსალოცად. ზიარეთში წასვლა საფლავებზე - მეტერებზე ღამის გათევას და მსხვერპლის შეწირვასაც გულისხმობდა. ზიარეთში ასული მომლოცველისთვის აუცილებლი იყო იქვე, საფლავზეც დაეძინა და ენახა სიზმარი, სადაც ეუწყებოდა გამოჯანმრთელების ან მიზნის მისაღწევად საჭირო მოქმედებების შესახებ, რაც, უმთავრესად, მსხვერპლშეწირვას უკავშირდებოდა. ჩათქმული სურვილის ასასრულებლად, მომლოცველი ვალდებული იყო სიზმარში დათქმული პირობა შეესრულებინა და მსხვერპლად შეეწირა ქათამი, ცხვარი ან ძროხა. ზიარეთზე წასულები წმინდა ადგილებში რამდენიმე დღის განმავლობაშიც კი რჩებოდნენ, ხშირად მიჰქონდათ საკუთარი ხელით ჩამოქნილი სანთლები, საფლავებზე ანთებდნენ და ლოცულობდნენ. სწამდათ, რომ ამის შემდეგ ავადმყოფები განიკურნებოდნენ, უშვილოებს - შვილი შეეძინებოდათ, პრობლემები კი მოგვარდებოდა.







## მეიდან-ოდა//მისაფირ-ოდა

სტუმართმოყვარეობით საქართველოში ვერავის გააკვირვებ, რადგან რომელი კუთხის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს, ქართველს დედის რძესთან ერთად აქვს შესისხლხორცებული სტუმარმასპინძლობის დაუწერელი კანონები, მაგრამ აქარული სტუმართმოყვარეობა მაინც ყოველთვის განსხვავებული და გამორჩეული იყო, რადგან აქ სტუმრის ღირსეულად მიღება და გამასპინძლება არა მხოლოდ ოჯახის, არამედ მთლიანად სოფლის თუ თემის საერთო საზრუნავს წარმოადგენდა. აქარაში ყველა სახლს ჰქონდა სპეციალურად სტუმრისთვის განკუთვნილი ოთახი - მეიდან ოდა, რომელიც იზოლირებულად იდგა ეზოში და სტუმარს ისე შეეძლო შიგ შესვლა და ღამის გათევა, რომ ოჯახი ვერც კი შეიტყობდა. ამას გარდა, სოფელში ცალკე სასტუმრო სახლიც ჰქონდათ, რომელიც მუდამ მზად, მომარაგებული იყო სტუმრის მისაღებად: ბუხარში შეშა, სანთელი ან ჭრაქი, სუფთა თეთრეულით გაწყობილი საწოლი, მაგიდაზე ხილი და წყალი. ეს ყველაფერი ახალმისული მგზავრისთვის იყო განკუთვნილი, თორემ როგორც კი სახლის ფანჯარას ჭრაქის შუქი გაანათებდა, მთელი სოფელი დაიძვრებოდა მეიდან ოდისკენ, რათა, ვისაც რით შეეძლო, იმით გამასპინძლებოდა სტუმარს, თან ისე, რომ არც კი იკითხავდნენ ვინ იყო, რა საქმეზე მოსული ანდა რამდენი ხნით. აქარაში კარგად იცოდნენ, რომ „სტუმარი ღვთისაა“ და მტერიც რომ წვეოდათ, სტუმარმასპინძლობის ხელშეუხებელი წესები მაინც უნდა აღსრულებულიყო. რამდენ ხანსაც არ უნდა დარჩენილიყო სტუმარი მეიდან ოდაში, სოფელი არ დაიღლებოდა მისი სამსახურით. მაშინაც კი, თუ მოულოდნელად მოსული თოვლი ხეობას კარგა ხნით ჩაკეტავდა, შეხიზნულ სტუმარს ისე გამოაზამთრებინებდნენ, წარბსაც არავინ შეიხრიდა!

საღერი მრავილი და რეზულები აქარაში





# სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებული ტრადიციები





აქარაში მეურნეობის ძირითად ფორმას ბარში მიწათმოქმედება, ხოლო მთაში მესაქონლეობა წარმოადგენდა. გარდა ამისა, აქარის თითქმის ყველა სოფელში იყო განვითარებული ხელოსნობისა და შინამრეწველობის სხვადასხვა დარგი. სამეურნეო სამუშაოებს ერთგვარი სეზონურობა ახასიათებდა. ამიტომაც საუკუნეების მანძილზე ადამიანების შრომითი საქმიანობის პროცესმა აგრარული კალენდარი ჩამოაყალიბა, სადაც, ძირითადად, ადგილობრივების სამეურნეო ყოფა აისახა. კალენდარულმა ტრადიციებმა შემოინახა აქარელი მეურნის საქმიანობის ცალკეული ეტაპები და მათი თანმიმდევრობა, მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების შედეგად გამომუშავებული მეურნეობის წარმოების რაციონალური ხერხები და მეთოდები, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბუნებაზე დაკვირვების შედეგად ჩამოყალიბებული ემპირიული ცოდნა, ხალხურ-რელიგიური აზროვნების სხვადასხვა საფეხურზე ფორმირებული მსოფლმხედველობა და მასზე დაფუძნებული რიტუალების სისტემა. ამ ტრადიციებში ისახება მიწის ნაყოფიერების უზრუნველყოფის, ბუნების ძალთა მუდმივი განახლების სურვილი, ყოველდღიური ცხოვრების წესი, მეურნეობის წარმოების მდიდარი ტრადიციები, აგრარული კულტების თაყვანისცემა და ზრუნვა მათი კეთილგანწყობის მოპოვებისთვის.



## ნაცხორამარტევი

აჭარაში მიწის სამუშაოების დაწყება 9 მარტის გასვლის შემდეგ ანუ ნაცხორამარტევს იყო ნებადართული, რადგან, ხალხური გადმოცემების მიხედვით, ზღვიდან სწორედ 9 მარტს გამოდიოდა სტიქის გამგებელი ძალა - წყლის სული, რომელსაც აჭარაში წყლის დედაბრის//ზღვის დედაბრის//ზღვის ნენეის და წყლის კაცის//ზღვის კაცის სახელით მოიხსენიებდნენ. მათ ამინდის მართვის ფუნქცია ეკისრებოდათ. ხალხის რწმენით, 9 მარტს ზღვიდან გამოსულ წყლის კაცს კარგი ამინდი თუ დახვდებოდა და გათბებოდა, დაილოცებოდა და იმ წელიწადს კარგი ამინდები და მოსავალი იქნებოდა, მაგრამ თუ შეცივდებოდა, დაიწყევლებოდა, რის შემდეგაც ამინდიც გაფუჭდებოდა და მოსავალიც.



## ბუნებრივი მოვლენების „მოტყუების“ ჩვეულება

მთაგორიან აჭარაში ნისლი ხშირად იყო ხელისშემშლელი როგორც მგზავრების, ასევე მწყემსებისთვისაც. ამიტომაც საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, აქაც ხშირად მიმართავდნენ ნისლის შელოცვას:

„ნისლო, ნისლო, ეიყარე,  
ცა და გორას გადიარე,  
სამი შვილი გყოლია,  
ერთი კუტი, ერთი ბრუტი,  
ერთი მათხე უკეთესი,  
მალე მიხვალ, მოგირჩება,  
გვიან მიხვალ, მოგიკტება“.

ქარის დასამორჩილებლადაც არსებობდა „ქარის დამწყვდევის“ ჩვეულება. ძლიერი ქარების დროს შეულოცავდნენ:

„ახტი ქარო, ჩახტი ქარო,  
ქარი ახტა-დახტა,  
შუა ქოთანში ჩახტა!“.

ამის შემდეგ კარის ძირში წყალს ჩაასხამდნენ და გადმობრუნებულ ქოთანს ჩაამხობდნენ - ქარი ადრე ჩავარდებაო.



„ ქადაგი მჩარისვის და რეფორმის აქტუალი





## „მძლევარი“ გუგული

ხალხური ტრადიციის მიხედვით, ხვნა-თესვის დაწყება გუგულის მოფრენას უკავშირდება. აჭარაში გავრცელებული რწმენით, გუგულს თავისი „პაფე-თესეთი“ მუშაობის დაწყების ამბავი მოჰქონდა. ეს ფრინველი ბუნების გამოღვიძების და აღორძინების დასაწყისის მაუწყებელი იყო და, ხალხის რწმენით, ვინც ამ მომენტს მშიერი, უხემსოდ შეხვდებოდა - თუნდაც სიმბოლურად ლუკმის პირში ჩადებას ვერ მოასწრებდა, „გუგულისაგან დაძლეული“ ე.ი. ხელმოცარული დარჩებოდა. როცა უიღბლო წელი დაუდგებოდათ, ასე იტყოდნენ: „წელს გუგულმა მაჯობაო“. ხალხური რწმენის თანახმად, გუგული „მძლევარი“ ფრინველია. მის დასაძლევად აჭარაში დილით ადრე დგებოდნენ და პირში ხემსს (მჭადის ნატეხს) ჩაიდებდნენ, გუგულის ხმის გაონებისთანავე კი დაიძახებდნენ: „მიჯობნია, მიჯობნია!“



„ ქადაგი მჩარისვის და რეფორმის აქტუალი





## ხარის შებმა


ხარი ქართულ მითოლოგიასა და რწმენა-წარმოდგენებში ერთ-ერთი ყველაზე ძველი და უნივერსალური სიმბოლოა. აქარელი გლეხი ყოველ-დღიურ ყოფაშიც განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა ხარს – მარჩენალ პირუტყვს და ყოველნაირად ცდილობდა მის დაცვას, პატივით შენახვას, მოვლა-პატრონობას.

ხარის პირველად გაყვანა სამუშაოდ, პირველი ჭილდის გატანა კვირაობით ხდებოდა. შესაძლოა, ეს ორშაბათს ან სამშაბათსაც მომხდარიყო, მაგრამ არა მუსლიმთა სალოცავ ჯუმა -პარასკევ დღეს. ხარებს უღელში წითელი ხის - ვაშლის, ტყემლის ან ასკილის ხისგან დამზადებულ ტაბიკებს უკეთებდნენ, ხარის რქაზე წითელი ნაჭრის შებმაც სცოდნიათ, ზოგჯერ პირუტყვს რქებსაც უღებავდნენ ხოლმე წარნაქით - წითელი საღებავით. აქარაში წითელ ფერს მაგიური ძალა ენიჭებოდა. ხალხს ეს ფერი სისხლის, სიცოცხლის, მზის სიმბოლოდ მიაჩნდა და ავითვალისგან დაცვის ფუნქციასაც ანიჭებდა.

ხარის უღელში პირველად შებმისას, პირუტყვს შებლზე კვერცხსაც მიამ-ტვრევდნენ ხოლმე, ახალი წლის დილას კი კვერცხს მის ზურგზე გადაატარებდნენ, გადააგორებდნენ, რათა ხარები ყოფილიყვნენ სავსე, როგორც კვერცხი, სიმინდი კი კვერცხის გულივით ყვითელი და საღი გამოსულიყო....



❖❖❖❖❖❖❖❖❖❖ საღერი მჩალიშილი და ჩიტუალები აჭარაში



❖❖❖❖❖❖❖❖❖❖ 125



## ლეგენდები ტბის ხარის შესახებ

არსიანის მთის მიდამოებში არის ტბა - ბუღა-გოლი, რაც ხარის ტბას ნიშნავს. ლეგენდის თანახმად, ტბაში ცხოვრობდა წითელი ფერის ბუღა, რომელიც ზაფხულობით ამოდიოდა ტბიდან და მეზობელი სოფლების ძროხებს ამაკებდა. ამ ხარს მთელი სოფლის ხარები დაუმარცხებია ჭიდილში. ბოლოს ერთ კაცს, თურმე, ასეთი ხერხი გამოუყენებია: თავისი ხარისთვის რქებზე რკინის ბუნიკები ჩამოუცვამს და ტბის ხარისთვის ისე დაუჭიდებია. რქებმოქედილ ხარს ბუღა დაუქრია. დასისხლიანებული ხარი ტბაში ჩაბრუნებულა. ხარის სისხლს ტბა წითლად შეუღებავს, წყალი ნაპირებიდან გადმოსულა და მთელი სოფელი წაულეკავს, გაუვერანებია. სახელი ვერნებიც ამიტომ ეწოდება ამ ადგილს.

ტბის ხარის შესახებ მსგავსი ლეგენდა სოფელ გეგელიძეებშიცაა შემონახული. დიდი გვალვის დროს, სოფლის მახლობლად, სათიბიას სერზე, ხარს რქით მიწა ამოუთხრია. ამ ადგილას ტბა გაჩენილა და სოფელი გადაურჩნია. შეპირებისამებრ, მწყემს ბიჭს აქ შეუწირავს მსხვერპლად თავისი საყვარელი ხარი. ამის შემდეგ, გვალვიანობის შიშით, სოფლის მცხოვრებნი ტბასთან ყოველ წელს სწირავენ მსხვერპლად ხარს. წყლის პირას ხარის შენირვის ფაქტი აჭარის სხვა სოფლებშიც დასტურდება. დიდი გვალვების დროს, ქვანის ხეობის მცხოვრებლებიც სწირავდნენ ხარს ან ცხვარს შეიდის ტბაზე.



❖❖❖❖❖❖❖❖❖❖ ხაღალი მრავილები და რიფუალები აქარაში



❖❖❖❖❖❖❖❖❖❖ 127



## კანულის//ყანულის გაღება

მიწის სამუშაოების დაწყებამდე კარგა ხნით ადრე, თოვლიც რომ ყოფილიყო, ყანის შესასვლელში, სახლის ახლომდებარე ნაკვეთზე – “ნაფუძარზე”ან ბაღჩაში მიწას თხრიდნენ და შიგ სიმბოლურად ყველანაირ მარცვალს მოაბნევდნენ. ამ რიტუალს აქარაში კანულის//ყანულის გაღებას” ან “კვალის გაყვანას” უწოდებენ. ამბობდნენ, კანულის გაღებისას, რამდენსაც ფეხს წინ წადგამ, დამხდური საქმეც იმდენი გაგიადვილდებაო. კანული//ყანული სავსე მთვარეზე გაჰქონდათ. ყანაში ყანულის გაღება ოჯახის უფროსი მამაკაცის საქმე იყო, ხოლო ეზოსა და ბაღჩაში იმავე წესს ქალი ასრულებდა. კანულში//ყანულში ყველანაირ მარცვლეულს ყრიდნენ, მაგრამ ეს თესლეული მწარე ნაყოფიანი მცენარის (წიწაკა, პრასი) არ უნდა ყოფილიყო. პირველად მაინც სიმინდის მარცვალს ჩაყრიდნენ – ტკბილად წავიდეს წელიო! ამასთან, ყველანაირი თესლის 7-7 მარცვალს სპილენძის სიზე დებდნენ და ისე გაჰქონდათ მინდორში. თესლეულში, ასევე სცოდნიათ კერცხის და რკინეულის (ნალი, ლურსმანი) ჩადება. თესლის გატანისას, კარის თავზე პირველად მარჯვენა ფეხი უნდა გადაედგათ და სათანადო ლოცვა-ვედრება შეესრულებინათ. იმ დღეს ოჯახიდან არათერს გასცემდნენ, ბარაქა რომ არ გადაჰყოლოდა. გადმოცემის მიხედვით, ძველად, რთველზე საყანულე თესლის შენახვაც სცოდნიათ, რომელსაც ბეღელში ცალკე ინახავდნენ. კანულის გაღების გარეშე დიდი ხვნა-თესვის დაწყება მიუღებელი იყო.







## ხარმანობა

აჭარის მთიან ზოლში სიმინდს მოუტეხლად ქრიდნენ - მოჩალავდნენ, ქელებად დააწყობდნენ და კონებად შეკვრის წინ ტაროებს ტეხდნენ. ქუჩეჩიან//ქუნჩულიან სიმინდს სახლის რომელიმე ოთახში ან ნალიის ქვეშ დაყრიდნენ, რის შემდეგაც იმართებოდა ხარმანობა//კალოობა - მინდვრიდან მოტანილი, ხვავად, კალოდ დაყრილი სიმინდის გარჩევის პროცესი. სიმინდის გარჩევა ძალზე შრომატევადი და საშური საქმეა, ამიტომ ხარმანობაში ხშირად იწვევდნენ ქალთა და მამაკაცთა ნადს. სიმინდის ხარმანის გარჩევა ზოგჯერ მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა, ნადის წევრები კი სიმღერებითა და ცეკვებით ირთობდნენ თავს. ეს იყო აჭარული ბერიკაობის ნაირსახეობა - გართობა-თამაშობა „ფათიკო”||“ფადიკო”, საწესო ფერხული „ოპოი, ნანო”, „ქალების ხორომი”, ქალთა საფერხულო სიმღერა „ნაინა, ნინაინა” და სხვ.








## ლაზარობა

როცა ზაფხულის გვალვა ველ-მინდვრებს გადაახმობდა ან ცა პირს მოაღებდა და გადამეტებული წვიმები ჭირნახულს საფრთხეს შეუქმნიდა, სოფლის ბავშვები იკრიბებოდნენ, ცოცხს „თავს“ და „მკლავებს“ გაუკეთებდნენ, კაბას „ჩააცმევდნენ“, დედოფალივით მორთავდნენ და ასე საზეიმოდ მორთული თოჯინით სოფელში კარდაკარ ჩამოვლას იწყებდნენ. ამ თოჯინას ლაზარიას//ლაზარიკოს, დედოფალას//დოდოფალას, ქეფჩა ხათუნს (პატარა ქალბატონს) ეძახდნენ და დიდი მოწინებით დაატარებდნენ ეზოდან ეზოში, სახლიდან სახლში, რადგან ამინდის გამგებელ ქალღმერთად მიაჩნდათ და მისგან წყალობის სახით სასურველ ამინდს გამოელოდნენ. პროცესია ყველა მოსახლესთან ჩერდებოდა. ბავშვები ლაზარიას სადიდებელ საგალობელს მღეროდნენ და დიდი გვალვებისას მისგან „წვიმა-წყალს“ ითხოვდნენ, ხოლო განუწყვეტელი წვიმების დროს - „მზის თვალს“- კარგ ამინდს. დიდი იმედით და სიხარულით ხვდებოდა ყველა ოჯახი ლაზარიკოს, თუ წვიმა სურდათ, წყალს მიასხამდნენ, თუ გამოდარება - ნაკვერცხალს მიაყრიდნენ, ბავშვებს კი საგანგებოდ, ლაზარიას გულის მოსაგებად გადანახულ კვერცხს, ყველს, იაღს, ფქვილს გამოუტანდნენ. ასე ლექს-საგალობლებით დააბრძანებდნენ ბავშვები კარდაკარ ლაზარიას და აგროვებდნენ შემოწირულ პროდუქტს. ბოლოს ერთ-ერთ ოჯახში მოიყრიდნენ თავს, სადაც ამ პროდუქტებით მომზადებული სუფრა გაიშლებოდა. მათ სწამდათ, რომ ბავშვების ტრაპეზის დასრულებამდე, სასურველი ამინდიც დადგებოდა! აჭარაში ლაზარობის ლექს-საგალობლის მრავალი ვარიანტი არსებობს. ყველაზე პოპულარული შემდეგი ლექს-საგალობელი იყო:

„ლაზარ მოდგა კარსაო,  
აღარღალებს თავსაო,  
შინა, შინა, შინაო,  
ჩიტმა შემაშინაო,  
ცალი ფეხი მომტეხა,  
ცალი შემარჩინაო!“

აბლახანუმ ადექი,  
თაროზეა კარაქი.  
აბლაი მოდგა თაროსაო,  
დიემზგავსა თვარესაო,  
აღარ გვინდა წვიმა-წყალი,  
ღმერთო, მოგვე მზისა თვალი!“





**”ოთხმოცი ათასი ქვეშ პენჭის შელოცვა”**

აქარის მოსახლეობას ამინდის მართვის არაერთი უძველესი რიტუალი ჰქონდა. წარმართულ მისტერიებს აქ ხშირად მუსლიმური ელემენტები ერთყოფდა და დროთა განმავლობაში სინკრეტული სახით ყალიბდებოდა. აქარაში ფართოდ იყო გავრცელებული არქაული რწმენა ქვის მაგიური ძალის შესახებ. გვალვის დროს აქ ასრულებდნენ წვიმის გამოთხვის ლოცვას, რომელსაც "ოთხმოცი ათასი ქვის კენჭის შელოცვას" ეძახდნენ. ერთად იკრიბებოდა ერთ მეჩეთში მოსიარულე ხალხი, რომლებსაც მოლა ორ ჯგუფად ჰყოფდა. მომლოცველები მაღალ სერზე ადიოდნენ, სადაც თითოეულ ჯგუფს ორმოცი ათასი კენჭი უნდა შეეგროვებინა. მოლა კენჭებს არაბულად შეულოცავდა. შელოცვილ კენჭებს გოდორში ჰყრიდნენ, გოდორს კი წყალში ისე დგამდნენ, რომ კენჭები წყლით დაფარულიყო. ამ ადგილთან, მდინარის პირას, კლავდნენ ყურბანს - შესაწირ ხარს და ხორცს ქვრივ-ობლებს ურიგებდნენ. სწამდათ, რომ რიტუალის დამთავრებისთანავე წვიმა წამოვიდოდა. თუ წვიმა დიდხანს გაგრძელდებოდა, გოდორს წყლიდან ამოიღებდნენ და გამოიდარებდა.

❖❖❖❖❖❖❖❖❖❖ საღერი მჩალიშილი და რიფუალები აჭარაში



❖❖❖❖❖❖❖❖❖❖ 135



## ქვაკაცები

სასურველი ამინდის გამოთხოვის რიტუალი აჭარის მთიანეთში ხშირად ტარდებოდა ქვაკაცებთან. „ქვაკაცები” წარმოადგენდნენ ქვის პატარ-პატარა ნატეხების ერთმანეთზე დაწყობით აღმართულ კონუსისებურ ფიგურებს, რომლებიც შორიდან ადამიანის გამოსახულებას მოგვაგონებენ. ქვაკაცები მრავლად გვხვდება აჭარის მაღალმთიანეთში, განსაკუთრებით მარითის, სხალთის, ჭვანისა და აჭარისწყლის ხეობებში. ქვაკაცები აღმართულია მარითისა და სხალთის ხეობებს შორის სამ დიდ მთაზე, რომლებსაც “დიდგორას”, “პირდაპირ სერს” და “სამარილე სერს” უწოდებენ. მათ შორის არის დავაკება, რომელსაც ჰავეთლამა//ჰავეთნამა// ჰავეთნამაზის სერს ეძახიან (არაბულად „სურვილების ლოცვის” სერი). ამ სერზე ეწყობოდა საჭარო ლოცვა-ვედრება და მსხვერპლშეწირვა საჭირო ამინდის გამოსათხოვად. ამასთან, ეს ხდებოდა როგორც მასობრივი სახალხო დღესასწაულების დროს, ისე ინდივიდუალურადაც. შესაწირავ ხარს ყიდულობდნენ წინასწარ შეგროვილი ფულით, აჰყავდათ ჰავეთნამაზის სერზე და ლოცვა-ვედრების შემდეგ ქვაკაცებთან მსხვერპლად სწირავდნენ. საქონლის ხორცი დიდ ქვაბებში იხარშებოდა და ურიგდებოდა ყველას, ვინც ამ მასობრივ დღესასწაულში მონაწილეობდა.



❖❖❖❖❖❖❖❖❖❖ ხაღალი მრავილები და რეზულტატი აქარაში



❖❖❖❖❖❖❖❖❖❖ 137



## მემხლიანობა/მენხლიანობა

ივლისის დამლევს-აგვისტოს დასაწყისში, დილით ადრე, ღორჯომის, ხიხაძირის, ქვანის, მარითის ხეობებიდან გოდერძის უღელტეხილისა და ბეშუმის მიმდებარე ალპური დასახლებისა და ღორჯომის ხეობის მთა-საძოვრების იაილებისკენ მიმავალ მთის ბილიკებს შეუყვებოდნენ ბარში დარჩენილი ქალები და მამაკაცები, ბავშვები და მოხუცები - ყველა, ვისაც სიარულის ძალა შესწევდა. შუამთობაზე მიიჩქაროდნენ - აჭარის მთიანეთში ყველაზე უკეთ შემორჩენილ მესაქონლე-მიწათმოქმედთა უძველეს დღესასწაულზე. დღესასაბაული ალპურ საძოვრებზე მესაქონლეთა ყოფნის შუა პერიოდში იმართებოდა და ამიტომაც დაერქვა შუამთობა. თუმცა ღორჯომის უხუცესთა გადმოცემით, ძველად დღესასწაულს მემხლიანობა//მენხლიანობა რქმევია, რადგან დღესასწაულის მთავარი მონაწილეები ქალები იყვნენ, წასვლის საკითხესაც ისინი წყვეტდნენ და მთაშიც ისინი მიდიოდნენ. მემხლიანი//მენხლიანი მხოლოდ დღესასწაულზე წამსვლელს ეწოდებოდა. სხვა შემთხვევაში, “მთაზე წამსვლელ ქალს მემხლიანს არ ეტყოდნენ”. არც მამაკაცი შეიძლებოდა ყოფილიყო მემხლიანი. ბარიდან მემხლიანობაზე მიმავალ, ლაზათიან, მოხდენილ, საქალებო ცხენზე ამხედრებულ ქალებს მამაკაცები მხოლოდ აცილებდნენ ქვეითად ან ცხენით. ჰგუფს ჭიბონსა და დოლ-აკორდეონზე დამკვრელებიც მიჰყვებოდნენ. თითოეული ქალი ცდილობდა საგანგებოდ მოეკაზმა ცხენი, ახალი, ფერადი ტანსაცმელი შეეძინა და ლამაზად მორთული ქოლგითაც მოეწონებინა თავი. თუმცა ქოლგა უფრო გვიან გაჩენილა აჭარელი ქალის მორთულობაში. მანამდე, თაკარა მზისგან თავდასაცავად, ქალები წითელ-ყვითელი და მწვანე ფერებით შეღებილი მატყლისაგან სპეციალურად ქსოვდნენ მოსასხამ ჩათხს. მემხლიანებს მემთევრებისთვის ძღვენიც მიჰყონდათ: სპეციალურად შემზადებული ქათამი და სხვადასხვა სახის ნაცხვარ-ტკბილეული. ჰგუფ-ჰგუფად მიმავალი მენხლიანები მთის კალთებს ააფერადებდნენ, გზად წყაროს წყლებთან ისვენებდნენ, სადაც ცეკვა-თამაშითა და თოფის სროლით ერთობოდნენ. იაილაში ასულ მემხლიანებს მემთევრი ქალები ეგებებოდნენ.





## მემთევრობა

პირუტყვის მოვლა და სარძევე მეურნეობის გაძლოლა, საზაფხულო საძოვრებზე ყოფნისას, მემთევრ ანუ მემთევრ ქალებს ევალებოდათ. მემთევრად ირჩევდნენ მესაქონლეობასა და მეურნეობის მართვაში გამოცდილ ქალს. ალპურ სეზონზე იგი, მენახირესთან ერთად, მთელ მეურნეობას ხელმძღვანელობდა. აქარულ ოჯახში მემთევრედ ინიშნებოდა უფროსი ქალი ან უფროსი რძალი, რომელსაც კარგად უნდა სცოდნოდა საქონლის მოვლაპატრონობა და რძის პროდუქტების დამზადება. ამიტომაც მემთევრის ცოდნა-გამოცდილებას ოჯახში ბავშვობიდანვე ეყრებოდა საფუძველი. მესაქონლეთა სადგომები ანუ იაილები წარმოადგენდა ორსართულიან ჰარგვალურ ნაგებობას, რომლის პირველ სართულზე მსხვილფეხა საქონელი იმყოფებოდა, მეორეზე – მემთევრი ცხოვრობდა ოჯახით. აქვე იყო სპეციალური განყოფილება – პატარა ზომის ოთახი, რომელსაც სარძიე ეწოდებოდა. აქ ხდებოდა რძის პროდუქტების დამზადება და შენახვა. თავის საქონელთან ერთად, მემთევრი ხშირად, გაბარებულ საქონელსაც უვლიდა. გაბარება//აბარება ნიშნავდა მოსაწველად და ზაფხულობით მოსავლელად პირუტყვის მემთევრზე მიბარებას, ე.ი. მემთევრისთვის სხვისი საქონლის მოსავლელად ჩაბარებას. მემთევრი საკუთარივით უვლიდა ამ საქონელს, აბარებული საქონლის რძისგან პროდუქტების მარაგსაც უმზადებდა ამბარებელ ოჯახს და მიღებულ ნაწარმს მეპატრონეს უკლებლივ აბარებდა საქონლის ბარში ჩამორეკვისას. მემთევრის მოვალეობა მხოლოდ მთაში პირუტყვის მოვლით, მოწველითა და რძის პროდუქტების დამზადებით როდი ამოიწურებოდა. გარდა ამისა, მემთევრი მთაში აკეთებდა ბოსტანს, უვლიდა ბავშვებს, ამზადებდა რძის პროდუქტების მარაგს ზამთრისთვის და ქსოვდა. რძის პროდუქტების დამუშავება-დამზადება და განაწილება ბარშიც მემთევრის მოვალეობად ითვლებოდა.

განსაკუთრებულად ემზადებოდნენ მემთევრები შუამთობის დღესასწაული-სთვის. მენხლიანთა მოლოდინში ამზადებდნენ სხვადასხვა სახის კერძებს, მრავალფეროვან რძის პროდუქტებს. დიდი სიხარულით ეგებებოდნენ მონატრებულ ახლობლებს და სტუმრებს. ერთმანეთთან შეხვედრის და გამასპინძლების შემდეგ, იწყებოდა საყოველთაო ზეიმი და გართობა.





## შუამთობა

შუამთობის ზეიმი რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. სტუმარ-მასპინძლები თავს იყრიდნენ სპეციალურად შერჩეულ ადგილებზე, სერებზე. მთელი დღის განმავლობაში იმართებოდა გართობა-სანახაობები, საკულტო ხასიათის წარმოდგენები, შეჯიბრებები ცხენოსნობასა და ჭიდაობაში. საღამოს ანთებდნენ კოცონებს, რომლის გარშემოც გვიან ღამემდე გრძელდებოდა ცეკვა-თამაშობანი, შეჯიბრება შაირობასა და გამოცანების თქმა-ამოხსნა-ში. შუამთობის დღესასწაულზე საპატიო სტუმრებად ითვლებოდნენ ხალხურ საკრავებზე, განსაკუთრებით, ჭიბონსა და დავლზე დაკვრის ოსტატები, სახალხო მთემელები, მოშაირეები, მომღერლები, მოცეკვავეები.

სიმღერებიდან სრულდებოდა: „ვოდელია“, „დედოფლის სიმღერა“, „შვიდკაცა“, „აბადელია“, „ხასანბეგურა“ და ა.შ. საცეკვაო რეპერტუარში შედიოდა: „განდაგანა“, „შეხდომილაი“, „ქალური“, „ლეკური“, „ბაღდადური“, „ქურთბარი“, „შამილი“, „ყარაბაღი“, „ყოლსამა“ და სხვ. ზეიმში ცენტრალური ადგილი ეჭირა საფერხულო ცეკვებს: „ხორუმს“, „ოჰოი, ნანოს“, „ქოჩეგურს“ და სხვ.

მარეთის ხეობაში შუამთობისას სრულდებოდა სპეციალური ცეკვა „მემთევრული“, რომელშიც, ახალგაზრდებთან ერთად, სამოცდაათ წელს მიღწეული ქალებიც მონაწილეობდნენ. ზეიმის კულმინაცია იყო საწესო ცეკვა-სანახაობა „ფადიკო“.



❖❖❖❖❖❖❖❖❖❖ ხაღალი მრავილები და რითუალები აჭარაში



❖❖❖❖❖❖❖❖❖❖ 143



## ფადიკო//ფათიკო

ფადიკო ერთგვარი გასართობი, თამაშის სახით შემონახული უძველესი საწესჩვეულებო რიტუალია, რომელიც შუამთობის დღესასწაულზე ან ქორწილებში იმართებოდა და ქორწინების გროტესკულ ინსცენირებას წარმოადგენდა. „ფადიკოში” ექვსი კაცი და ერთი ქალი მონაწილეობდა. ქალის სამოსში გამოწყობილ ერთ მონაწილეს - ფადიკოს//ფათიკოს შესვამდნენ ცხენივით დაოთხილ ერთ-ერთ მოთამაშეზე, რომელიც ერთს აღვირით მოჰყავდა, სხვები კი სიმღერით მისდევდნენ. ორი მოთამაშე, რომლებიც ფადიკოს საქმროებს განასახიერებდნენ, ფადიკოს მოსაპოვებლად ეცილებოდნენ ერთმანეთს. ვინც პირველი მოასწრებდა და თეთრ ფულს გადააყრიდა, ქალიც მას დარჩებოდა. ბოლოს, ეს ორი მოქაშე შეთანხმდებოდა იმაზე, რომ ფადიკო დღისით ერთს ჰყოლოდა, ღამით - მეორეს, ბოლოს კი ყურბანს შემოავლებდნენ და დაკლავდნენ. ამას მოჰყვებოდა ცეკვა-თამაში. ცეკვის დროს ფადიკო მოულოდნელად იმალებოდა. ამაზე ატყდებოდა ჩოჩქოლი და ყველა მის ძებნას იწყებდა. ბოლოს, როცა იპოვიდნენ, ვახშმადაც სხდებოდნენ. ნავახშმევს ერთ საქმროს თითქოს მიეძინებოდა, მეორე კი ამ დროს ფადიკოს მიუწვებოდა და ეალერსებოდა. პირველიც მაშინვე იღვიძებდა, წამოხტებოდა, ხმალზე ხელს გაიკრავდა, ამხანაგს დაჭრიდა და ფადიკოს გაიტაცებდა. ქალი ეწინააღმდეგებოდა, საქმრო კი საჩუქრებს ჰპირდებოდა და ყველანაირად ცდილობდა მის დაყოლიებას. ბოლოს ქალიც თანხმდებოდა და მიჰყებოდა. რიტუალის მუსიკალურად გასაფორმებლად ზემოაჭარაში იყენებდნენ ყოლსამას ნაირსახეობას - „ქოჩეგურს”, ამიტომაც, აქ ზოგიერთ ხეობაში (სხალთა, მარითი, დიოკინისი, რიყეთი) ამ რიტუალსაც „ქოჩეგურს” უწოდებდნენ. „ფადიკო” დღეს ქორწილსა და ლხინში შესასრულებელ ცეკვად, გასართობ სანახაობადაა ქცეული, თუმცა შინაარსობრივად იგი უძველესი ხალხური დღესასწაულის - ბერიკაობა//ყეენობის აჭარულ ნაირსახეობას წარმოადგენს.



❖❖❖❖❖❖❖❖❖❖ საღერი მჩალიშილი და ჩიტუალები აჭარაში




❖❖❖❖❖❖❖❖❖❖ 145



## გირიკობია

საფერხულო ცეკვებში აქტიურობით გამოირჩეოდნენ მესაქონლე მომთაბარე ქურთები, რომლებიც დეპორტაციამდე (1944 წ.) ხემშილებთან ერთად ცხოვრობდნენ კახაბრის ველზე და ზაფხულობით აჭარის ალპური საძოვრებით სარგებლობდნენ. მართალია, ქურთებსა და ხემშილებს შუამთობის ტრადიციები არ გააჩნდათ, მაგრამ სადღესასწაულო დღეებში ისინი, აჭარელ მესაქონლეებთან ერთად მონაწილეობდნენ სადღესასწაულო გართობა-სანახაობებში. მათ შორის იყვნენ მოხეტიალე ქურთები, რომლებსაც ზირიკ ქურთებს უწოდებდნენ, რადგან ხშირად ფერადი, დაკონკილი ტანსაცმელი ეცვათ და ფეხშიშველი დადიოდნენ. შუამთობის რეპერტუარში შემავალი „ზირიკობიაც“ მათზე დასაცინ ხალხურ თამაშობა-დაა მიჩნეული. „ზირიკობია“, ძირითადად, შვილიერების ინსცენირებას წარმოადგენდა: დააგებდნენ ხალიჩას, რომელიც სახლს განასახიერებდა. ხალიჩაზე დამსხდარ ცოლ-ქმარს (ცოლი ორსულად იყო) სტუმარი ზირიკი ეწვეოდა. მასპინძლები სუფრას გაუწყობდნენ სტუმარს, მაგრამ იგი პირს არ აკარებდა საჭმელს. გაბრაზებული ქმარი ჭოხით აგდებდა სტუმარს „გარეთ“. ფეხშიშველა ზირიკი „თოვლში“ იდგა და კანკალებდა. ცოლს ეცოდებოდა სტუმარი და ქმარს ეწინააღმდეგებოდა. ახლა ცოლ-ქმარს შორის დაიწყებოდა უთანხმოება. ცოლს მუცელი ასტკივდებოდა და „მშობიარობა“ ეწყებოდა. თამაშის დროს ქალის როლს ქალურად ჩაცმული მამაკაცი ასრულებდა. „ზირიკობია“ დიდ მხიარულებას იწვევდა შუამთობის მონაწილეებს შორის. ეს თამაში იმდენად პოპულარული იყო, რომ გარდა შუამთობისა, მთელი წლის განმავლობაში ასრულებდნენ ქორწილში, სოფლის თავყრილობებზე, ზამთრის გრძელი საღამოების გასატარებლად და გასართობად, მაგრამ, სინამდვილეში, ეს ხალხური სანახაობა ნაყოფიერება-გამრავლებისათვის განკუთვნილი უძველესი რიტუალის გადმონაშთი უნდა იყოს.

❖❖❖❖❖❖❖❖❖❖ ხაღალი მრავილები და რითუალები აჭარაში




❖❖❖❖❖❖❖❖❖❖ 147



## „აქლემის შეკაზმვა”// „აქლემის მოპაზმვა”

„აქლემის შეკაზმვა” ნაყოფიერების კულტისადმი მიძღვნილი უძველესი დღესასწაულის – შუამთობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ეს იყო კარდაკარ ჩამოვლის უძველესი თეატრალიზებული სანახაობა. ოთხი კაცი მხრებზე გაიდებდა „აქლემის” ხისგან გამოთლილ თავსა და ტანს, ტყავებითა და ბეწვით ისე შეფუთულს, რომ აქლემს დამსგავსებოდა, თავად კი ფეხებს „განასახიერებდნენ”. ამგვარ „აქლემზე” შესვამდნენ მხედარს და, სხვადასხვა ინსტრუმენტზე დამკვრელებსა და მომღერლებთან ერთად, მხიარული ყიუინით, ხმამაღალი შეძახილებითა და სიმღერით კარდაკარ დადიოდნენ იაილებში და თითოეული მემთევრისაგან სანოვაგეს ითხოვდნენ. მხედარი ყველა ეზოსთან „ააცეკვებდა” ხოლმე აქლემს, ჭოხით გაუღებდა პირს, სადაც მემთევარი ჩადებდა: ყველს, კარაქს (იაღს), კვერცხს, ფქვილს თუ პურს. შეგროვილ სანოვაგეს ბოლოს ერთ ოჯახში მოამზადებდნენ და ერთად შეექცეოდნენ.








## საპატარძლოს მოპატიუება// „სარძლოს გამორჩევა“

შუამთობაზე აუცილებელი წესი იყო საპატარძლოს ან ახალმოყვანილი რძლის მიპატიუება. გამგზავრების დღეს სამამამთილო ან მაზლი საპატარძლოს მიჰვრიდა აუცილებლად თეთრი ფერის, კოხტა, სპეციალურად მორთულ-აკაკბულ დოდოფლის ცხენს, რომელსაც ზურგზე ეფარა წითელი ფერის აბრეშუმის ქსოვილი. ცხენის ფაფარი და თავ-კისერი სხვადასხვა ფერის ფუსქულებით, ზონრებითა და ეუვნებით იყო მორთული. უნაგირიც რბილი, ბალიშიანი უნდა ყოფილიყო. საპატარძლოსათვის სპეციალურად მზადდებოდა კაბა და განსაკუთრებულად მოკაზმული ქოლგა. საპატარძლოს, თავისიანების გარდა, მიჰყვებოდნენ სასიძო და/ან სხვა ახლობელი. საპატარძლოს და მისი მხლებლების ცხენებს კი მაზლი ან სამამამთილო მიუძღვებოდა ქვეითად.

საპატარძლო ჭერ თავისი მშობლების იაილაში მიჰყავდათ, შემდეგ კი სასიძოს ოჯახი გადაიპატიუებდა თავის იაილაში რამდენიმე ახლობელ ქალთან ერთად, საღამოს კი მამისეულ იაილაში ბრუნდებოდა. დღესასწაულის დამთავრების შემდეგ საპატარძლოს და მის თანმხლებ პირებს ბარში ისევ წამყვანი მამაკაცი აბრუნებდა.

შუამთობაზე ხდებოდა, ასევე საცოლის ან სარძლოს შერჩევა. აქ საყოველთაო ზეიმის დროს საშუალება იყო კარგად შეეთვალიერებინათ გასათხოვარი გოგონები და საცოლედ დაეთავისებინათ. ამას „გოგოს შეგულვებას“, სარძლოს გამორჩევას უწოდებდნენ.

„ ქადაგი მჩავლილი ეა რიცხვული აქანაში





## თამაშები

ზოგიერთი საკულტო დანიშნულების რიტუალი, სხვადასხვა რელიგიისა და ეპოქის გავლენით, ყოფაში გართობა-თამაშების სახით არის შემორჩენილი. ისინი რომ სერიოზული საკულტო მოქმედების გადმონაშთს წარმოადგენენ და უძველეს მსოფლმხედველობას ასახავენ, კარგად ჩანს აქარაში გავრცელებულ თამაშებშიც.



### “ბუღიების ჭედობა”

ზემო აქარაში მეტად საინტერესო გართობა-სანახაობის სახით შემორჩა გაზაფხულის დღესასწაულების ციკლში შემავალი “ბუღიების ჭედობა”, რომელიც აპრილის პირველი კვირიდან იწყებოდა.

ბუღიების თვეობით მომზადების შემდეგ, პატრონები სოფლად შეკიბრების დღესა და ადგილს აცხადებდნენ. ჭვანისა და ღორჯომის ხეობათა სოფლებში ასეთი შეკიბრებისათვის გამოყოფილი ჰქონდათ სპეციალური ადგილები. მაგალითად, სოფელ ინწკირვეთში - „დუბეჭალის“ მოედანი, სოფელ ნაღვარევში - „გორიკულა“, სოფელ მეკეიძეებში - „კინტავრა“ და ა.შ. შეკიბრების დღეს აურაცხელი ხალხი გროვდებოდა. ბუღის გამარჯვებას, პატრონის გარდა, მთელი სოფელი ურიამულითა და თოფების სროლით ხვდებოდა.

დამარცხებული მხარე ჩუმად, რევანშის სურვილით აღვსილი სტოვებდა მოედანს და განმეორებით შეკიბრებაზე იწვევდა გამარჯვებულის პატრონს. არენაზე ახალ-ახალი წყვილები ცვლიდნენ ერთმანეთს. სოფელში „ბუღიების ჭედობა“ დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა.



❖❖❖❖❖❖❖❖❖❖ ხაღალი მრავილები და რიცხვები აჭარაში



❖❖❖❖❖❖❖❖❖❖ 153



## დათვობია

თამაშის სახით შემორჩა ყოფას ბუნების აღორძინებისა და ნაყოფიერებისადმი მიძღვნილი ხალხური დღესასწაული „დათვობია“, რომელიც ბაირამის, ქორწილის თუ სხვა დღესასწაულის დროს სრულდებოდა. „დათვობიას“ თამაშის დროს ირჩევდნენ მთავარს, მსაჯულს ან მეფეს, რომელსაც ხელში განასკვნული ყაბალახი ეჭირა. მეორე მონაწილე კი ვითომ დათვი იყო. დანარჩენები თხებს განასახიერებდნენ. დათვი, რომელიც ზამთრის ძილში მყოფ ბუნებას განასახიერებდა, მეფის წინაშე წელში მოხრილი დგებოდა. მეფე მას განასკვული ყაბალახით სცემდა და აღვიძებდა. გაღვიძებული დათვი თავის თხებს ეძებდა, მათ დაჭერას ცდილობდა, ვისაც დაიჭერდა, შემდეგ ის განასახიერებდა დათვს და თავიდან იწყებოდა თამაში.




## ცეცხლობია//ათეშობინი

ცეცხლის გაღმერთების, მასზე განსაკუთრებული ზრუნვისა და დაცვის კვალი, რაც უძველესი ადამიანის ცხოვრებაში ცეცხლის როლითა და სასიცოცხლო მნიშვნელობით იყო განპირობებული, შემონახულია თამაშის „ცეცხლობია“ ანუ „ათეშოინი“//„ართოშანი“-ს სახით. ამ თამაშის დროს გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მოთავსებულია ხაზიდან თანაბარი მანძილით დაშორებული ორი „ცეცხლი“, რომლებსაც ორი გუნდი იცავს. ორივე გუნდის მონაწილეები ცდილობენ ერთმანეთს მოტაცონ „ცეცხლი“. რომელი გუნდის წარმომადგენელიც შეძლებს „ცეცხლის“ მოტაცებას და „საზღვარზე“ გადატანას, ის ითვლება გამარჯვებულად.

თამაშის ამოსავალი წერტილია ცეცხლი, მისი უპატრონოდ დატოვება არ შეიძლება და ერთი მოთამაშე მას გამუდმებით იცავს. თუ მოწინააღმდეგე მხარე მას დაეპატრონა, თამაში წაგებულია. „ცეცხლობია“ მიჩნეულია ამირანის მიერ ღმერთებისათვის ცეცხლის მიტაცების მითოლოგიური სიუჟეტის განსახიერებად. იგი გატაცებული ცეცხლისათვის თავგამეტებული ბრძოლის ერთგვარ ინსცენირებას უნდა წარმოადგენდეს.



❖❖❖❖❖❖❖❖❖❖ ხაღალი მრავილები და რითუალები აჭარაში



❖❖❖❖❖❖❖❖❖❖ 155

## სიტყვების განმარტება

**აბანდულა** - გოგონების გართობა-თამაშობა ნართის ძაფით

**ათეზოინი//ართოშანი** - ცეცხლობია; ხალხური თამაში

**აკაპბული** - მორთულ-მოკაზმული

**ალთუნი** - ოქრო

**აბბავზე თავის მოთიპვრა** - რაიმე საქმის, მოლაპარაკების დამთავრება

**ამოძრენა** - ამოძვრენა, ამოტარება (რაიმეში)

**ანა** - დედა

**არჩივი** - წილი, კუთვნილი, სარგო

**ასტამი** - ნიჩაბი

**ასტმიტარა** - ნაქსოვში დატანებული სახე, ორნამენტი

**აღდი** - საქორწინო წერილობითი პირობა

**აღდის გაკვეთა** - საქორწინო პირობის წერილობით შედგენა-გაფორმება

**აღდის გაჭრა** - იხ. აღდის გაკვეთა

**აღდი ოხვენუ//ნიშანი ოხვენუ** - (ლაზ.) ნიშნობის ცერემონიალი

**ახორი** - ბოსელი, საქონლის სადგომი

**ბაირალი** - დროშა, ალამი

**ბანდა** - სახე, ორნამენტი ნაქსოვში

**ბანდიბულდა** - იხ. აბანდულა

**ბაღანა** - ბავშვი

**ბახურა** - 1. წყლის არსება

2. ნაკრძალი დღეები ივლისში, როცა იკრძალებოდა წყალში ბანაობა,  
რათა ბახურას ადამიანებისთვის ზიანი არ მიეყენებინა

## ❖❖❖❖❖❖❖❖❖❖❖ ხალხური მჩაღისიები და ჩიტუალები აქარაში

**ბე** - წინდი, თავნი

**ბერებეთი** - ბარაქა

**ბეს დარიგება** - მატყლის ჩერვის ან ხერტლის ნადის მოწვევისას, ნადის მონაწილეებისათვის წინასწარ მატყლის ან ნართის ნაწილის დარიგება

**ბეჭი** - იხ. ბე

**ბოსლა** - საქონლის მფარველი ღვთაება

**ბოსლობა** - ბოსლასადმი მიძღვნილი რიტუალი

**ბოხჩა** - მოკრულა; (აქ) საპატარდლოსათვის ნიშნობისას მირთმეული პირადი ნივთები და ტანსაცმელი

**ბოხჩის მიტანა** - საპატარდლოსათვის სასიძოს ოჯახისაგან ნიშნობისას

ტანსაცმლის და პირველადი მოხმარების ნივთების მიტანა

**ბჟოლი** - თუთა

**ბრძნა** - დაცდა, აკრძალვა

**ბრძნილობა** - დაცდის, აკრძალვის შესრულება

**ბუღა** - დაუკოდავი ხარი

**ბუღიების ჰედობა** - ბუღების შეფიბრი; გაზაფხულის დღესასწაულთა ციკლში

შემავალი გართობა-სანახაობა

**ბაბარება//აბარება** - მემთევრზე ზაფხულობით მოსავლელად პირუტყვის

მიბარება

**ბადანადება** - ნადის ადრე დამთავრებისას ნადის მონაწილეების სხვა ყანაში გადასვლა

**ბადაცემა** - დაწყევლა

**ბადანაცემი** - დაწყევლილი

**ბათვალვა** - „ავი თვალის“ ზემოქმედება

**ბანრიდება** - მორიდება, აკრძალვები ოჯახის წევრებთან ურთიერთობაში



გარგანი - კოხი, კეტი

გაწარწალება - მიმოფანტვა, უწესრიგოდ დაყრა

გევეზობა - დავიდარაბის, შფოთის მოწყობა

„გჩას სიმღერა ვუთხრათ“ - (ხატ.) გზა სიმღერით, ხალისიანად გავლიოთ

გლახობა - ცუდი საქციელი, ცუდი საქმის კეთება

გობი - ხის თასი

გოლი - ტბა

ფაბუკება - გაშეშება

ფადე - მდადე, ქორწილში დედოფლის ან სასიძოს მხლებელი, ხელისმომკიდე,  
დამხმარე ქალი

ფადეგი - პირველი სექტემბერი, ძველად, ახალი წელი

ფადეგობა - რიტუალი, წეს-ჩვეულება, რომელიც იმართებოდა დადეგის დროს

ფაღიანი - იხ. დადე;

ფავლი - დოლზე დიდი, მხარჩე ჩამოსაკიდებელი დასარტყმელი ინსტრუმენტი

ფავლზე ქამარი გამიწყდა - (ხატ.) ქორწილის დასასრულს დამკვრელისგან  
საჩუქრების მოთხოვნა

ფავახშმებული მთვარე - 1. გვიან ამოსული მთვარე;

2. ხუთშაბათგავლილი, კარგად შევსებული მთვარე

ფათვობია - ხალხური გართობა-სანახაობა

ფართხვა - შეკვრა, შესკვნა; (გადატ.) ავი სულებისაგან შეპყრობა

ფამხდური საჭმე - შესასრულებელი სამუშაო

ფაპაიჭნა - დაპატიჟება

ფაპეალვა - კანზე გამონაყარის გაჩენა

ფარპილვა - ჭიისგან ხის ან ხის მასალის დახვრეტა, დაზიანება

ფაჩიჩვა - დაჩრჩილვა, ჩრჩილისგან დაზიანება

ფაცდა - გამოცდილების მიღება და გათვალისწინება



 საღერგი მჩარივი და რიფუალები აქანაში

**დაცოლვილება** - კოდვის ჩატუნა, კუთი საქციის

ଡାକ୍ ଟିକ୍ ଟାର୍ଫ୍ - ମୁଦ୍ରଣକାରୀ

**დვაღი, დუღი - ღეროვანის თავსაბურავი ქსოვილი, რომელიც თავიდან**

ფეხისამდევრული ფარავდა დეფორმაციას; ძირითადად, წითელი ფერის

**დოდოფალა - აბრეშუმის ჭიის უხარისხო პარკი**

დონჩხაური - გაცვილებული

**დუალის ახდა - ღერთოთლისათვის წითელი შალის საბურავის მოხვა**

დუგუნი - ქორწილი

© 2023 - (ლატ.) ვენ

ებე - ბებიაქალი, მუნი

**ელიობა - წმ. ილია წინასწარმეტყველისათვის მიძღვნილი ორისასწაული**

ელჩი - შეამცემლი

ଏଣ୍ଟେର୍ଟ୍ - ୩୩୦୮୮୫

ვეპილი - (აქ) მოწმი, საპუტარძლოს ან სასიძოს წარმომადგენელი

ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ନୀ - ମିଳିନ୍ଦିଆଲ୍ଲାଇ ପାଲାଚାର୍

ବୀରାଜ୍ମାନି - ନଗନାୟକ, ସାହୁତ୍ୱକାଳୀ ପାଇଁ

ՑՈՐՈՅՑԹՅԱ - ԽԱՂԵԿՐՈ ՀԱՐՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԸ

**ՑՐԾՈ - ՓԿԱՅՈՒ ԱՆ ԴԱՄՎՅՈԼՈՒ ԲՅՈՒՋԵՆ ՑՐԾՈՂՈ ՀՐԱՄԱՆԻ ԽԱՏՎԱՐՈ**

**გურია - საფინანსო მსაგავაზე თითო წარადგენი ინსტრუმენტი**

830ს ნებები - ჩოვის/წყლის სული მოარველი

ନାୟକ ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ରାଜିତ ପାତ୍ର

ოთავის აღმილების ინციდენტები - მრავალგვარა მიზანურა აღმილება

സംഖ്യ - നൂറ്റാണ്ട് താഴെ

സാമ്പത്തിക വിനിയോഗിക്കൽ ബോർഡ്

ოვალის ბაზონი ჰავები - ღვალი ღვრული უბრძანის დაგავლის

ନେତ୍ରବ୍ୟାଧି - ଶୀଘ୍ରକାରୀ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ



**თვალის წაკვრა** - იხ. გათვალვა

**თვალკვეთარა** - „ავი თვალის“ მქონე ადამიანი

**თვარის ცყვეტა** - მთვარის გადასვლა ერთი ფაზიდან მეორეში

**თოფი გადაგვაწვა მაყარმა** - ქორწილის დამთავრების ნიშნად წამსვლელი

მაყრიონის მიერ თოფების სროლა და რაიმეს დაზიანება

**იაზმა** - მანდილი

**იაილა** - 1. საზაფხულო საძოვრები;

2. მესაქონლეთა სადგომები

**იჭები** - აკეთებ

**კაი** - კარგი

**კაი ფეხი** - კარგი ფეხი, ბედნიერების მომტანი

**კანული** - კვალი, ხნული

**კანულის ჩაღება** - კვალის გატარება

**კარავი** - აბრეშუმის ჭიისთვის პარკის გასაკეთებლად დადგმული,

სამკუთხედად შეკრული მცენარეთა რტოები

**კარის დასამკეთო** - ქორწილში მამის ოჯახიდან გამოსაყვანად სასიძოს

ახლობლების მიერ გადახდილი თანხა

**კარის დასამყრელო//კარდასამყრელო** - იხ. კარის დასამკეტო

**კარპალი** - კაკანი

**კაფიხარპი** - იხ. კარდასამკეტო, კარდასამყრელო

**კვიშლი** - ხის ტანზე გაჩენილი გამაგრებები, ნუსრი

**კვირიკობა** - 1. ივლისი;

2. წეს-ჩვეულება

**კისირაი** - უნაყოფო, ბერწი

**კოთხო** - ყავრისგან დამზადებული მრგვალი, სახურავიანი ქურქელი

**კოკოტაი** - ქოჩორა



## ❖❖❖❖❖❖❖❖❖❖❖ ხაღლური მჩაღისიები და ჩიტუალები აქარაში

**კონახი -** სახლი, საყოფა

**კუდიანი -** ავი სული

**კუტი -** მოძრაობაშეზღუდული, დავრდომილი

**კუჩხეშ ეთალა (კუჩხეშ ეთალაში) -** (ლაზ.) ფეხის მობრუნება - მეოთხე ან  
მეშვიდე დღეს პატარძლის სტუმრობა მამისეულ სახლში

**ლაგარია -** 1. გვალვის ან დიდი წვიმების დროს ამინდის გამოთხოვის  
რიტუალი;

2. რიტუალის დროს ჩამოსატარებელი დედოფალა

**ლაგარიკო//ნაგარიკო -** იხ. ლაგარია

**ლეხტი -** სიგრძივ ოთხად გაყოფილი თხმელის მორი

**ლიტროპი -** (ბერძ.) მონანიება, ცოდვებისგან განმენდა

**მაგარი თვარე -** კარგად შევსებული მთვარე

**მანიდი -** მამითადი, ნადი; მოძალებული სამუშაოების დროს დასახმარებლად  
მოწვეული ადამიანების კრებული

**მარაშინა -** (ლაზ.) მარიამობა

**მასკლავი -** ვარსკვლავი; ორნამენტი ნაქსოვში

**მაყაი -** (ლაზ.) მაყარი

**მამთაური, მემთევრი -** გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში ალპურ საძოვრებზე  
გადაყვანილი პირუტყვის მომვლელი ქალი

**მამხლიანი//მანხლიანი -** შუამთობაზე მიმავალი ქალი

**მამხლიანობა//მანხლიანობა -** შუამთობის დღესასწაული

**მანადე -** ნადის მონაწილე

**მეიდან-ოდა -** სასტუმრო სახლი ან ოთახი

**მეჩქინები -** (ლაზ.) აკვანში დანიშვნა

**მეფეხე -** მეკვლე; პიროვნება, ვინც პირველად უნდა შევიდეს სახლში ახალი  
წლის დილას



**მზოღა - (ლაზ.)** ზღვა

**მინანიება -** მიმღერება

**მიტროპი -** იხ. ლიტროპი

**მოთიავრა -** თავის მოკვრა, შესკვნა

**მოყავრვა -** სახლის ყავრით დახურვა

**მოყვანის ქორწილი -** სიძის სახლში გამართული ქორწილი

**მოჩალვა -** ყანაში გამხმარი სიმინდის მცენარის მოქრა და მოგროვება

**მოჩაჩება -** მიმოყრა, მოფანტვა

**მოჩოჩიტული -** ძლივს გაკეთებული, ნაცოდვილარი

**მოჩხოროზი -** ნაშიერი, შთამომავალი

**მტრობაში მოყვრობის ჩამოგდება -** შერიგება ორ გვარს, ორ ოჯახს შორის

**მურავი -** შუამავალი

**მუჟებალიში -** ქორწილში სასიძოსთვის განკუთვნილი პატარა ბალიში

**მუჟეჭი -** მუჟდებალიშის მატარებელი ქორწილში

**მძლევარი -** მჯობი

**ნაბედვარი -** დანაწყევარი

**ნაბრალევის ქვა -** ქვა, რომელზედაც შესაწირავს აწყობდნენ ცოდვის შენდობის სათხოვნელად

**ნადი -** მუშაობისას ურთიერთდახმარების ფორმა

**ნარცხი -** საქონლის წვნიანი საკვები

**ნახსი -** 1. ნავსი;

2. ცელქი, მოუსვენარი

**ნენე -** 1. დედა;

2. ბებია

**ნიკარტი -** ნისკარტი

**ნიქახი -** საქორწინო პირობების შემცველი დოკუმენტი



## ❖❖❖❖❖❖❖❖❖❖❖ ხაღალი მჩამილები და ჩიტუალები აქარაში

- ნიშანლობა** - საპატარძლოსთან სასიძოს ნებადართული სქესობრივი ურთიერთობა ქორწინებამდე
- ნიშანი ოხვენო** - (ლაზ.) ნიშნობა
- ნოღამე** - (ლაზ.) პატარძალი
- ომტინუ** - (ლაზ.) გაპარვით დაქორწინება
- ონჩიორე, ონჩიორე** - (ლაზ.) ცურვა; ონჩვიეში - ცურვის
- პააული** - (ლაზ.) ბაბუა, სახლეულის უფროსი
- პირისამხდელი** - დედოფლის ძმა ან ბიძაშვილი, რომელიც ქორწილში დედოფლალს სახეზე ჩამოთარებულ რიდეს ხანჭლის წვერით ახდის და სახეს გამოუჩენს
- პირისანახავი** - ქორწილში პირახდილი (სახეგამოჩენილი) დედოფლისთვის მირთმეული საჩუქრები
- პირობის სიმაბრე** - პირობის სიმტკიცე
- პწყილი** - რწყილი
- პწყილის გადალოცვა** - რწყილის გამრავლების საწინააღმდეგო რიტუალი და შელოცვა
- პწყილის დაყვერვა** - იხ. რწყილის გადალოცვა
- რეიზა** - რატომ
- როპი** - იხ. კვიული
- რუშში** - ქორწილში რაიმე განსაკუთრებულის მოთხოვნა
- რძის ფარა** - ქორწილში პატარძლის დედისთვის ან გამზრდელისთვის განკუთვნილი თანხა
- საია** - სადა, უბრალო
- სამა** - ცეკვა
- სანეფო წინდა** - პატარძლის მიერ სასიძოსთვის მოქსოვილი წინდა
- სარძიე** - რძის პროდუქტების დასამზადებელი და შესანახი ოთახი



**სარძლოს გამორჩევა** - შუამთობის დღესასწაულზე საპატარძლოს ან  
სარძლოს შერჩევა.

**სასელა** - 1. საადრეო მსხლის ჭიში; 2. ნიშანლობის შედეგად ქორწინებამდე  
გაჩენილი ბავშვი

**საქმის მოჭრა** - მოლაპარაკების შედეგად საქმის გადაწყვეტა

**საცვეთი ბოსჩა** - სასიძოს ოჯახის მიერ საპატარძლოსათვის ქორწილამდე  
სატარებლად მიტანილი ტანსაცმელი

**სახახუნა** - სათამაშო, საჩხარუნა

**სერისკუდი** - ვახშმის შემდეგ მიღებული საკვები, ჩარობი

**სისხლის მოწმენდა** - მოსისხლეობის შეწყვეტა ორ გვარს ან ოჯახს შორის  
სისხლში მიცემული ქალი - სისხლის აღების გასაბათილებლად მოსისხლე  
ოჯახისთვის მითხოვებული ქალი

**სიტყვის გამოტანა** - მოლაპარაკების შედეგის გახმოვანება

**სიჰპა** - (ლაზ.) სიძე

**სიჰპალიკობა** - (ლაზ.) ნიშნობის შემდეგ სასიძოს საცოლესთან ფარულად  
შეხვედრები პატარძლის ოჯახში

**სუფრის დაკავება** - საქორწინო სუფრასთან მაყრების ხანგრძლივად ჭდომა

**სუფრის ჩუქება** - მაყრების მიერ დაკავებული საქორწინო სუფრის

გათავისუფლება

**ტაბიპი** - უღლის ნაწილი

**ტაბა** - ბიძა, დედის ძმა

**ტვაღი** - იხ. დუაღი

**ტურაპორნილი** - პატარა ქორწილი

**უზანგის საჩუქარი** - დედოფლის ცხენიდან ჩამომყვანისათვის განკუთვნილი  
საჩუქარი

**უკმო** - უკუღმა, ცუდი



სახელი მჩავლილი და რითუალი კულტური

## უჟმერი - 1. დაავადება;

- ## 2. დაავადების გამომწვევი ავი სული

## უსტა - ხელოსანი

**ფადიკო/ფათიკო** - გართობა-სანახაობა; სრულდებოდა ქორწილის, შუამთობის  
და სხვა დღესასწაულების დროს

ଓଡ଼ିଆ - ୧. ପରିମାଣ;

- ## 2. တွေ့ဆုံးပြန်လည်ပေါ်ပေါ်မှု - အရာပညာများ

**ფერხობა** - მეცნიერობა; ახალი წლის დილას მფრინავის შესვლა ოჯახში

ԳՈՅՔԵՐ - ԵԱՄԱԿԱԿՈ

ଓৰ্জু প্ৰক্ৰিয়া - বাংলা

ଶ୍ରେଷ୍ଠ କାର୍ଯ୍ୟାନ୍ତିକ - 1. ପ୍ରକାଶକାରୀ ମାଲକାରୀଙ୍କି

2. ლატინურობის თროს ჩამოსაფარებელი თოჯინა

**ქვეპარული -** ადამიანის გამოსახულების ფორმის, ქვაში ნაკვეთი ან ქვის პატარ-  
პატარა ნატეხების ერთმანეთზე დაწყობით შექმნილი კონუსისებური  
ფიგურები აჭარის ალპურ ზონაში

## ქილომეტრი - 1. ნოხი, თუარდაგი;

- ## 2. ქილიმურა - ორნამენტი ნაქსოვში

፩፻፲፭ - ዓንብა

**ქოჩებური - ცეკვის სახელმძღვანელო**

ქუნჩელა - იბ. ქარიშვი

ქურები - სიმინდის ტაროს გარეკანი

ଓଡ଼ିଆ - ନାମଗୀରି

**ყავარი** - ნაძვის მორის სიგრძეზე დანაწევრებით მიღებული სამშენებლო  
ოროვაზე

ყარა - ხანტალი

୫୧୬୦ ପାଠ୍ୟକର୍ତ୍ତା

— 5 —



**ყაჭის დაბუკება** - ყაჭის დაავადმყოფება, გაშეშება

**ყოლიფერი** - ყველაფერი

**ყოლსამა** - ცეკვა „განდაგანა“-ს სახე, ცეკვა მკლავური

**ყორი** - შემოღობილი, შემოკავებული

**ყორი ტყე** - ნაკრძალი ტყე

**ყურბანი** - შესაწირავი

**ყურათი** - ნადუღისგან დამზადებული ხმელი კვერი

**ხემათებიმები** - (ლაზ.) დათავისებული, ხელწაკარებული ქალიშვილი

**შაშლიგი** - მწვადი

**შებეჭდვა** - სანთლით გაკეთებული ჭვრის მიწებება

**შეგულება** - იხ. თვალის დაკავება

**შეიდი** - წმინდანი

**შერბეთი** - შარბათი, ტკბილი სასმელი

**შეტეხვა** - მცენარეზე ფოთლების შერჩევით გაცლა

**შეფუტება** - კვამლის მიშვება

**შეხრჩოლება** - იხ. შეფუტება

**შიშა** - შეშა

**შუამთობა** - მესაქონლე-მიწათმოქმედთა დღესასწაული, რომელიც

იმართებოდა ალპურ საძოვრებზე საქონლის ყოფნისას

**შქვითი** - შვიდი

**ჩათხი** - შეღებილი მატყლისაგან მოქსოვილი მოსასხამი

**ჩიჩვის ნადი** - მატყლის კოლექტიურად გასაწერად მოწვეული ქალები

**ჩვილი თვარე** - ახალი მთვარე

**ჩურუგაი** - 1. ივლისი;

2. წეს-ჩვეულება

**ცახი** - მცენარის ნედლი ტოტებისაგან სამკუთხედად შეკრული აბრეშუმის ქიის



## ❖❖❖❖❖❖❖❖❖❖❖ ხაღლური მჩაღისიები და ჩიტუალები აქარაში

სამყოფი; იხ. კარავი

ცეცხლზე მორება - ცეცხლის ალტე გადატარება

ცხემლა - რცხილა

ძუძუს ფარა - იხ. რძის ფარა

ნალი - მწარე

ნამოსრუპვა - ხელის ერთი ჩამოსმით, ერთბაშად ჩამოძრობა

ნანაცვლება - გადაადგილება, წინ წაწევა

ნარმო - კარგი, დადებითი

ნარნაქი - წითელი მიწა; იყენებენ საღებავად

ნაღმართი - კარგი, დადებითი

ნაყვანის ქორწილი - დედოფლის სახლში გამართული ქორწილი

ნინწკალი - ნაპერწკალი

ჰანდა - (ლაზ.) ტრადიციული ლაზური ქორწილი

ჰელი - მჭელი, ჩალის პატარა კონა

ჰვანები - კლანჭი; კატიკვანჭა - ორნამენტი ნაქსოვში

ჰიბონი - გუდა-სტვირის მაგავსი სასულე ინსტრუმენტი

ჰიბოშანი - ხის სათლელი იარაღი; ჰიბოშანა - ორნამენტი ნაქსოვში

ხაპი - კვახი

ხარმანი - 1. კალო;

2. პურის ხვავი;

3. უწესრიგოდ დაყრილი ნივთების გროვა

ხარმანობა - კალოობა

ხაშარი - ჭიგო

ხელთაფლიანი - საქმის, საკვების გემრიელად მკეთებელი

ხელის მობრუნება - გამართლება ხელმოცარვის შემდეგ

ხელისტაცნელი - ქორწილში დედოფლის ხელისმომკიდე



ხემანთხილები - (ლაზ.) ხელმონაკიდი  
ხემსი - მცირედ დასანაყრებელი საჭმელი  
ხელნაქმარი - ხელით ნაკეთები  
ხერტალი - თითისტარი  
ხერტლის ნადი - მატყლის სართავად მოწვეული ქალთა კრებული  
ხვავრიელი - უხვი  
ხიზარი - ხერხი; ხიზრიკბილა - ორნამენტი ნაქსოვში  
ხისე - წილი, კუთვნილი  
ხლიბვა - გრეხვა, ხლართვა  
ხოჩიჩი/ხოჭიჭი - ხის ქერქისგან გაკეთებული ბავშვის საწოლი  
ხცალა - დამპალი  
ძღვენი - შუამთობაზე წასაღებად სპეციალურად შემზადებული ქათამი და  
სხვადასხვა სახის ნაცხვარ-ტკბილეული.  
ჰაზი - ავსული, ეშმაკი  
ჰაზ-ეპალა - წრიულად დახვეული ეკლიანი მცენარე  
ჰერი - დღის დადგენილ დროს მიღებული საკვები  
ჰილდა - სახვნელი იარაღი, გუთანი  
ჰორპო - ხისგან დამზადებული ჰატარა, უზურგო სკამი  
ჰოხის გატეხვა - მინიშნება უარყოფით ჰასუხზე  
ჰუმა - პარასკევი  
ჰაჰეთნამაზი - სურვილების ლოცვა







შუამავლობა




ნიშნობა



აღდის გაკვეთა




ტურაქორწილი



მუხდებალიში





„მოყვანის“ ქორწილი



ტვალის//ფუალის ახდა



საფილის მიზანა




მერქინები



შუამავლობა




ჰანდა



ძეობა//პავნის მიტანა




„ჰიპის მიტრა“



„უბეში ამოძვრენა“






„მანიფში მიღება”



გოგონების აღზრდის ტრადიციები



საერონინო აღკვეთები



განრიდება



**ორსულობა -  
შვილიერებასთან დაკავშირებული  
აკრძალვები**




**თვალის წავრა**



**კვირკვება//ჩურუგაი**



**მცენარეებთან დაკავშირებული აკრძალვები**



**ხეინდა ტყეები**







## მონადირეობა-მეთავგეობის აღკვეთები



საახალწლო ნეს-ჩვეულებები პრატიში




## “ଓର୍ବାଳିକ ଶର୍ମା”




## ცეცხლის შენახვა






ბოსლობა



მეკვლეობა




ქათმის ფერხვა




საქონლის ფერხვა



ხალხური მრავილები ღა ჩიტუალები აჭარაში




ნადი



ხისეს//არჩივის გადება



მთვარესთან დაკავშირებული რიტუალები



სახლის საძირკვლის ჩაყრა




ბაირალის აღმართვა



გველის კულტი



ნადირის დაკოჭვა



საღმრთოს გადება




ყაფირება



„მზოღას ონევიუში დღა“  
(ზოვაში ბანაობის დღე)






დადგი/დადგობა



ჩერვის და ხერთლის ნადი



აბრეშუმის ჭიის მოვლა



ქსოვა



გიარეთობა



მეიდან-ოდა//მისაფირ-ოდა



ნაცხრამარტევი



„მძლევარი“ გუგული



ხარის შებმა




ლეგენდები ტბის ხარის შესახებ





კანულის//ყანულის გალება



ხარმანობა



ლაზარობა



**”ოთხმოცი ათასი ქვეს პენჭის შელოცვა”**






ქვაპატები



მემხლიანობა//მენხლიანობა



მემთევრობა



შუამთობა




ფალიკო//ფათიკო






ზორიკობია



„აქლემის შეკაზმვა// „აქლემის მოკაზმვა“



საპატარძლოს მოკაზიუბა//  
„სარძლოს გამორჩევა“



“ბუღიების ჭედობა”




ცეცხლობია//ათევონი



ალფი თხვენუ//ნიშანი თხვენუ



ფრინველის დაძლევა



ალილობა





სამინისტრო

მზამკვლევი მომზადებულია

ა(ა)იპ თერისტიუმი აროლეპტიკის განვითარების სააგენტოს მიერ

აჭარის ა.წ. ტურიზმისა და კურორტების ღვარაზოგადობის

ტექსტი მუშაობენის:

ნაცენი ნოლაბერი (ლექსიკოლოგი)

თამიძა ლომთათიძე (ეთნოლოგი)

მანებარ ლოჩია (ეთნოლოგი)

ეთნომასაფვარი - ჯავად მიქელაძე

ნუკის ილუსტრატორი - გიორგი კვიკვინია

კონსულტანტი - როინ მაღალაძე (ეთნომრაჭი)

სააგენტო მარეობას უხედის:

მზამკვლევის მომზადებაში გაწეული განმარტივების

ბათუმის მოთა აუსტავების სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტს



აჯანის მუნიციპალიტეტის და კურორტების მიმართამენის  
ა(ა)ია მუნიციპალიტეტის განვითარების სააგენტო

ფარნეგაზ მეურის 84/86, ბათუმი 6010, საქართველო

ტელ: +995 577 90 90 93 / 995 577 90 90 91

ელ. ფოსტა: [info@visitajara.com](mailto:info@visitajara.com)

ვებ-გვერდი: [visitajara.com](http://visitajara.com)

არ იყიდება